გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია" ეძლევა

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№59 (954) 6 - 8 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შტაინმაიერი ასოცირების ხელშეკრულებას სამომავლო კავშირის ჭრილში განიხილავს

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან

ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა ხალხი არ დაგვეხოცოს და ახალი ტერიტორიები არ დავკარგოთ. რამდენი ადამიანი უნდა მოვკლათ ან რამდენი ახალგაზრდა ბიჭის მემორიალი უნდა გავხსნათ, რომ საქმის კეთებაში ჩაგვეთვალოს?..

მთავარია, აფხაზურ პროპაგანდას არ წამოვეგოთ და ქართველი პოლიტიკოსები დისკუსიაში არ ჩაგვითრიონ, რათა შემდეგ ქართველებისგან მტრის ხატი არ აღადგინონ...

წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში კი, 2013 წელს მიღებულ ხელფასს ცხვირში გვჩრიან. მიმაჩნია, რომ თავისსამართლებელი არაფერი მჭირს, რადგან ფინანსურად ჩემი ოჯახი მნიშვნელოვნად დავაზარალე...

ოჯახში თერთმეტნი ვართ და ჩემ გარდა, ყველა უმუშევარია. ჰაესტუხების გარდა ჩემთვის ყველაფერს მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში ვყიდულობ და ამის არ მრცხვენია — ტიპური თბილისელი, რიგითი მოქალაქე ვარ. ჩემი მეუღლე თვეში ერთხელ ღიღოში დადის და ყველაფერს ბითუმად ყიდულობს. საბოლოშო არავისთან არაფერი მაქვს!..

გვ. 3–4

„აფხაზეთიდან ეთნიკური ქართველების გამოსახლება დაიწყება!"

რა ინფორმაციას ანვდიან სოხუმიდან ნესტან კირთაძეს

გვ. 5

პაატა ქარდავას ოჯახი „მკვლელი" თენგიზ გუნავას დასჯას ითხოვს

რა გავლენას მოახდენს „კლანური ფობია" სამეგრელოში არჩევნების შედეგებზე და რა კავშირი აქვს ნაციონალების კანდიდატს 20 ადამიანის გაუჩინარებასთან

გვ. 6

საქართველოში ყავის პირველი ინდუსტრიული საწარმო გაიხსნა

გვ. 8

ჩერი

ირაკლი ღარიბაშვილმა ქვემო ქართლში გამგებლობის კანდიდატები წარადგინა

პრემიერმა ქვემო ქართლის ყველა რაიონში „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატები რუსთავში, მოსახლეობასთან შეხვედრისას დაასახელა.

გარდაბნის რაიონის გამგებლობის კანდიდატად გარსევან ნიორაძეა წარდგენილი, მარნეულში — მერაბ თოფჩიშვილი, ბოლნისში — გოგა მეშველიანი, დმანისიში — გიორგი ბარბაქაძე, წალკაში — ილია საბაძე, თეთრიწყაროში — ბესიკ წიკლაური.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, იგი დარწმუნებულია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატები თვითმმართველობის არჩევნებში დამსახურებულ და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწევენ.

პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება პრობლემებს არ გაურბის, პირიქით, პირადად მას ეს ათჯერ მეტ ენერგიას აძლევს: **„დღეს ქვეყანაში კვლავ წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემაა. რეგიონებში ბევრს ვმოგზაურობ. 21-ე საუკუნეში ყველგან ერთი და იგივე პრობლემა დამხვდა: საბაზისო პირობების არქონა, უგზოობა, უგაზობა, უწყლობა და რაც ყველაზე მეტად გვაწუხებს, უმუშევრობა. წარმოება არ არსებობს. სოფელი არის დაცლილი და გაღარიბებული. სოფლის მეურნეობა იყო განადგურებული. ჩვენ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ პრობლემებს არ გავურბით. პირიქით, ეს უფრო გვაძლიერებს და პირადად მე მაძლევს ათჯერ მეტ ენერგიას, ერთხელ და სამუდამოდ, ქვეყანაში გადავწყვიტოთ და ხალხს მივცეთ რეალური სარგებელი. ჩვენ ვიცით, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები. ხალხს არ ვატყუებთ და არც არასდროს წამოვაძახებთ იმას, რასაც ვაკეთებთ, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ვალდებულებაა. ჩვენ აგვირჩიეთ იმისთვის, გემსახუროთ და არა პირიქით. ეს ასეც იქნება, ვიდრე ხელისუფლებაში ჩვენ ვიქნებით“.**

„პირველი“

პროკურორებმა ათდღიანი მივლინების გამო გიგი უგულავას საქმის განხილვის გადადება ითხოვეს

საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე პროკურორები ქეთევან ჩაჩავა, ნათია სონღულაშვილი, გიგა ძნელაძე და მალხაზ კაპანაძე არ გამოცხადდნენ.

მოსამართლემ მაია შოშიაშვილმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მათი განცხადება გააცნო, რომლის თანახმად, პროკურორები 4 ივნისიდან 10 დღით სამსახურებრივი მივლინებით ბათუმში მიემგზავრებიან, სადაც აშშ-ს ინიციატივით დანაშაულის თემაზე სემინარია დაგეგმილი. პროკურორები ითხოვენ, აღნიშნული საპატიო მიზეზად ჩაეთვალოთ და პროცესი 10 დღით გადაიდოს.

პროკურორების განცხადებას გიგი უგულავამ სახელმწიფო ბრალდების სირცხვილი და უსუსურობა უწოდა.

გიგი უგულავას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ „თბილისის განვითარების ფონდიდან“ დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვას ედავებიან. გამოძიების ცნობით, საქმე ეხება თბილისის განვითარების ფონდის თანხის — 48 მილიონამდე ლარის წინასაარჩევნო პერიოდში ნაციონალური მოძრაობისთვის გამოყენებას. თბილისის ყოფილ მერთან ერთად ამ საქმეში ბრალდებულები არიან დავით ალავიძე, ალექსი თაბუაშვილი, დავით ავალიანი, გიორგი საბანიძე და დიმიტრი ჩხეიძე.

„პირველი“

შტაინმაიერი ასოცირების ხელშეკრულებას სამომავლო კავშირის ჭრილში განიხილავს

გიორგი იაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიაში მეორე ვიზიტი დაასრულა. ამჯერად პრემიერმა გერმანელებს ორი უძველესი გერმანული წიგნი დაუბრუნა და მათგან არამარტო მადლობა, არამედ საქართველოსადმი დიდი პატივისცემაც დაიმსახურა. ღარიბაშვილი არც კულტურულ ღონისძიებებს დააკლდა. წიგნების გადაცემის შემდეგ, ფაქტით აღფრთოვანება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს არ დაუმალავს. იგი სიტყვით ბერლინის ბოდე-მუზეუმში გამოვიდა.

„ბოლო წლებში საქართველომ ბევრი რამ გააკეთა დემოკრატიის განმტკიცებისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება ის ხიდია, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო მჭიდროდ დაგვაკავშირებს“, — განაცხადა შტაინმაიერმა.

შტაინმაიერს არ დაუმალავს, რომ საქართველოს, როგორც თანასწორ პარტნიორს, ისე განიხილავს და სამომავლო გეგმებზეც ღიად ისაუბრა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს არც თავისი ქართველი კოლეგა, მაია ფანჯიკიძე დავიწყებია: **„თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, სულ რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდით ბერლინში მოლაპარაკებებზე. თქვენ, ძვირფასო მაია, წელს უკვე მრავალჯერ ჩამოხვედით ქალაქში, რომელსაც ბევრ ბერლინელზე უკეთ იცნობთ. ასევე შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ჩემი პირველი ერთობლივი ვიზიტი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ლორენ ფაბიუსთან ერთად სწორედ თბილისში შედგა. პარტნიორობა, რომელიც აერთიანებს გერმანელებსა და ქართველებს, უკვე დიდი ხანია ყოველდღიურობად იქცა. მსოფლიო კონცერნმა სიმენსმა მე-19 საუკუნეში ერთ-ერთი პირველი ფილიალი არა ნიუ-იორკში, ლონდონში ან პარიზში გახსნა, არამედ სწორედ თბილისში. დღეს, დაახლოებით 3000 ქართველი ახალგაზრდა სწავლობს ტიუბინგენში, მიუნსტერსა და ბერლინში. გერმანია და საქართველო ერთობლივი შრომის შედეგად უფრო და უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს“.**

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ორ ისტორიულ წიგნს, შტაინმაიერმა ამ საჩუქარზე განსაკუთრებით ისაუბრა და მის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი: **„ეს ორი წიგნი, რომლებიც გადმომეცით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოწმეა ევროპაში ჩვენი მღელვარე ისტორიისა. ეს ისტორია გვასწავლის, რომ მომავლისთვის სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ამის შესახებ, თქვენ ჰერმან ვან რომპუისთვის კარლ დიდის ჯილდოს გადაცემის ცერემონიალზე მკაფიოდ გამახსენეთ. დღეს კი გთავაზობთ, გადავშალოთ ამ ისტორიის ახალი გვერდი, გვერდი არა ომისა და განხეთქილებისა, არამედ მეგობრობის, პარტნიორობისა და ნდობისა. ამისთვის მუშაობა დღეისთვის ყოველგვარ ძალისხმევად ღირს“.**

გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის შემდეგ, შტაინმაიერის განცხადება ღიად მიანიშნებს, რომ გერმანული მხარე მზად არის, ნებისმიერი დაბრკოლების მიუხედავად, საქართველოს გვერდში დაუდგეს და ჩვენი ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე ნებისმიერ დონეზე დაიცვას.

დემოკრატია ქართულად, ანუ შორია თბილისიდან ტუნისამდე?

გიორგი იაშვილი

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია და ჩვენ უფლებებს სახელმწიფო იცავს. იმის მიუხედავად, რომ წინა ხელისუფლება კონსტიტუციას ზუსტად ისე ექცეოდა, როგორც ბილ კლინტონი თავის დროზე მონიკა ლევინსკის, მაინც ვიტოვებთ უფლებას, რომ საქართველოს უპირველეს კანონში არსებულ ჩანაწერს დავუჯეროთ, მაგრამ...

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტებს შეხვდა. როგორც წესი, ასეთი შეხვედრები ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საინტერესო გახდა, რამეთუ არც წინასწარ შეთანხმებული კითხვებია და თამამად შეგიძლიათ, პრემიერს ნებისმიერ თემაზე ესაუბროთ. რამდენად არის პასუხები გულწრფელი და სრულყოფილი, ეს სხვა საკითხია. ამ შეხვედრაზე პრემიერს ლევან ვასაძის შესახებ ჰკითხეს. ცნობილმა ბიზნესმენმა ერთი კვირის წინ ღარიბაშვილი, უსუფაშვილი და მარგველაშვილი დებატებში გამოიწვია და განაცხადა, მე მარტო ვიქნები, ისინი სამნი მოვიდნენო და ისე გამოჩნდა, თითქოს ბატონ ლევანს დ'არტანიანობა სურს და ახლა მუშკეტერების ძიებაშია. ზემოთ ჩამოთვლილი სამეულიდან ათოსი, პორთოსი და არამისი რომელი იქნება, თავად გაარკვიეთ, ჩვენ კი ღარიბაშვილის პასუხზე მოგახსენებთ: **„საზოგადოებაში სხვადასხვა აზრი მუსირებს და მოქალაქეებს სხვადასხვა აზრი შეიძლება ჰქონდეს. მე ყველა მოქალაქემ დებატებში რომ გამომიწვიოს, აღარ უნდა ვიმუშაო, არ გამოვა ასე“.**

მაშინვე კონსტიტუციის ის მუხლი გამახსენდა, თავში რომ ვახსენე და მუხლთან ერთად ბიძინა ივანიშვილი. კაცს, რომელსაც ქვეყნის პირველ მოქალაქეს ეძახიან, არ აქვს სურვილი, პრემიერი, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე დებატებში გამოიწვიოს, თორემ სერიოზული ეჭვი მაქვს, ამას ტელევიზიების გარეშეც მოახერხებს და რაც მთავარია, დ'არტანიანიც თავად იქნება, ათოსიც, პორთოსიც და არამისიც... თუ გაჭირდა, ეგებ ლუდოვიკოობაც შეითავსოს, თუ, რა თქმა უნდა, უკვე შეთავსებული არ აქვს. ამას მოქალაქეთა თანასწორობის გამო მოგახსენებთ, თორემ ვასაძის განცხადება ჩანასახშივე მკვდარი რომ იყო, თავად რაინდმა ლევანმაც კარგად იცოდა, მაგრამ თქვა და მე თუ მკითხავთ, თქვა იმიტომ, ამ თემაზე აჟიოტაჟი ამტყდარიყო და ეთქვათ, ვასაძესთან დებატებს ზემოჩამოთვლილი ტრიო გაურბისო. მაგ პრინციპით დებატებში მეც გამოვიწვევ ღარიბაშვილს, მარგველაშვილსა და უსუფაშვილს და დამთანხმდებიან?! ახლა მეტყვით, სად შენ და სად ვასაძეო და რეალურად, ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ საბანკო ანგარიშებშია და, რადგან ასე ზომავენ ზოგ-ზოგიერთები, იმიტომაც დავდე რაინდის საპირწონედ ივანიშვილი. თუ სად მე და სად ვასაძე, მაშინ სად ვასაძე და სად ივანიშვილი?! მოქალაქეთა თანასწორობის შესახებ კონსტიტუციური ჩანაწერიც აქ ირღვევა და ამ მუხლს საერთოდ თუ ამოვიღებთ, არ იქნება ცუდი, ნერვებს მაინც აღარ მოვიშლით.

და ბარაკ ობამა! ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, მზად ვართ, იმ ქვეყნების დემოკრატია ბოლომდე დავიცვათ, ვისაც ამის სურვილი აქვს და ვინც ამისკენ ისწრაფვისო. უფრო ზუსტად კი, ობამამ დემოკრატიის დასაცავი ზონაც შემოხაზა და აღნიშნა, საქართველოდან ტუნისამდე დავიცავთო. აბა, რა უფლება მაქვს, ობამას არ დავუჯერო, მაგრამ იმას რა ვუყო, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დემოკრატიის სადარაჯოდ ამერიკის მთავრობამ წყალი და პამპერსები რომ გამოგზავნა და ზედ შეშფოთების ნოტა დაურთო?! ისე, წყლის თემაზე დღემდე ვფიქრობ, პამპერსების გამოგზავნის მიზანს კი მივხვდი — რუსულმა არმიამ საქართველოდან უნიტაზები გაზიდა, სანამ ახალს გავაკეთებდით, პრობლემები რომ არ შექმნილიყო, პამპერსი ამიტომაც მოგვაშველეს და, სანამ ამერიკული თუ ჩვენი დემოკრატია სუნს დააყენებდა, დაგვეხმარნენ.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგიყევით, რომ ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად ქართული ჯარი უახლოეს დღეებში გაემგზავრება. პირადად ვნახე ერთ-ერთი ჯარისკაცი, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში იმსახურებს და ისიც ვკითხე, არ გეშინია იქ რომ მიდიხარ, თურმე ისევ კანიბალიზმია მეთქი. გაეცინა — საქართველოში კანიბალიზმი არ არისო?! რა ვიცი... კონსტიტუციაში კი გვიწერია, ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანიაო და...

ექსკლუზიური ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან

ირუსუდან შელია
557-100-768

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები უკვე დაინიშნა, ექსპერტების ნაწილი კი აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის ნაწილად გამოცხადების მოლოდინშია. ვინ მართავს პროცესებს სოხუმში და ანქვაბის დე ფაქტო მთავრობის შეცვლის შემდეგ, რას დათმობს აფხაზეთი რუსეთის სასარგებლოდ, როგორ აპირებს ხელისუფლება გალსა და სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველების დაცვას, ამასთან, გახდება თუ არა 2015 წელს აფხაზეთი ევრაზიული კავშირის წევრი, „ვერსიას" შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.

— აფხაზეთში მოვლენების ამ სცენარით განვითარება რუსეთის ინტერესებში არ იყო. პირიქით, მოსკოვი ფაქტის წინაშე დადგა. ოპოზიციისთვის დიდი ხანია ანქვაბი და მისი მმართველობის ფორმა მიუღებელია. საბოლოოდ კი, ანქვაბი რუსეთის მძევალი აღმოჩნდა. ფაქტია, მოსკოვს უკრაინის ფონზე არ აწყობდა ეჩვენებინა, რომ აფხაზეთშიც ვითარებას თავად მართავს. თანაც აფხაზეთში ტიპური, პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი, ხელისუფლებისთვის ბრძოლით გამოწვეული პოლიტიკური კრიზისი იყო.

— თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება — პირიქით, ყირიმის ფონზე რუსეთი ძალის დემონსტრირებას კიდევ ერთხელ ახდენს და აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის ნაწილად გამოცხადებისთვის საფუძველს ამზადებს.

— განსხვავებული პოზიცია გამაჩნია და ჩემს პოზიციას გაცნობთ.

— მოვლენების ანალიზისას სხვის აზრს არასოდეს ითვალისწინებთ?

— არავის ვეჯიბრები, მკითხველმა კი, ჩემი განცხადებებიდან დასკვნები თავად გააკეთოს — ანქვაბმა მოსახლეობის მოლოდინი ვერ გაამართლა, რამაც ოპოზიციური ძალები გააძლიერა; ოპოზიციამ კი დრო იხელთა და როგორც კი უკრაინაში ვითარება, მეტ-ნაკლებად, დალაგდა, რუსეთი ფაქტის წინაშე დააყენა — მეტს აღარ მოვითმენთო. რა თქმა უნდა, მოსკოვის გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა, რითაც თავი კიდევ ერთხელ გამოააშკარავა. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ პუტინი რეალურად მართავს ვითარებას. ვისაც რა სურს, ის თქვას, მაგრამ რუსეთს ამ ეტაპზე არ აწყობს, მაგნიტივით, მუდმივად ხმაური და დაპირისპირება მიიზიდოს. პირიქით, ურჩევნია, ირგვლივ საკითხები ისე დაალაგოს, თავად არ გამოჩნდეს. აფხაზეთში რუსეთის ოკუპაცია გრძელდება, მაგრამ ახლა მთავარი კითხვა ჩნდება: რამდენად წავა ახალი დე ფაქტო მთავრობა იმ დათმობებზე, რაც რუსეთმა ანქვაბისგან ვერ მიიღო. ესენია: საკუთრება მიწებზე, „ჩერქეზსკი სოხუმის" გზა ჩრდილოეთ კავკასიაზე, საკუთრება უძრავ ქონებაზე და სოხუმში ღრმა პორტის აშენება, რომლებზეც ანქვაბი კატეგორიულ უარს აცხადებდა. არ გამოვრიცხავ, ანქვაბმა ხელისუფლების შენარჩუნება მოინდომოს.

— ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთში პოლიტიკური დაპირისპირება გამწვავდება?

— ეჭვი მეპარება, ანქვაბი პოლიტიკაში დაბრუნდეს, თუმცა არ გამოვრიცხავ, ანქვაბის გუნდიდან რომელიმე ფიგურამ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ოპოზიციას. ხელისუფლებიდან მოულოდნელად წასვლის შემდეგ აფხაზურ საზოგადოებაში ანქვაბის მიმართ სიმპათია გაიზარდა. ასე რომ, სოხუმში ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა, ვნახოთ, ე.წ. არჩევნები რა შედეგით დასრულდება. მთავარია, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზურ საზოგადოებასა და იმ ძალებთან მუდმივი კონტაქტი გვქონდეს, რომელთა ხელშიც რეალური ძალაუფლება იქნება. ეს მოგვცემს შანსს, ურთიერთობები დავალაგოთ.

— ითქვა, მაქსიმუმ ორ წელიწადში აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის ნაწილი გახდება. ასეთ პროგნოზს იზიარებთ?

— ეს იოლი არ იქნება. აფხაზები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ და არა რუსეთისთვის. თუ ეს პროცესი დაიწყება, მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნება. რა თქმა უნდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც რუსეთთან ახლო ურთიერთობა ურჩევნიათ, მაგრამ ასეთები უმრავლესობაში არ არიან.

— მაშინ ხაჯიმბას ღია გზავნილები განმარტეთ — მეტი დასაქმება და ურთიერთობა რუსეთთან, რაც ჯერჯერობით, აფხაზეთში არ გაუპროტესტებიათ. რას აკეთებს ქართული მხარე იმისთვის, რომ რუსეთში ინტეგრაციის მოწინააღმდეგე აფხაზმა მოსახლეობამ თავი დაცულად იგრძნოს?

— არ მიმაჩნია საჭიროდ, ხაჯიმბას გზავნილები განვმარტო. რაც შეეხება ქართული მხარის ქმედებებს, რატომღაც მიჩნეულია, რომ, თუ ხალხი გეხოცება, ასი ათასობით ახალი დევნილი გყავს და ათეულობით სოფელს კარგავ, ეს მუშაობაა, ხოლო თუ ეს ყველაფერი არ ხდება, უსაქმოდ ხარ და არაფერს აკეთებ. ზვიად გამსახურდიას მთავრობიდან დაწყებული, შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩათვლით, მმართველობის პირველ წელიწადნახევარში თითოეულ მათგანს მოქალაქეები ეხოცებოდათ და ტერიტორიებს კარგავდნენ. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ კი წელიწადნახევარი ისე გავიდა, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მოწინააღმდეგემ მავთულხლართებზე მეტი სირთულე ვერ მოგვაყენა.

— ეს მეორე უკიდურესობაა — ტერიტორიებს ისე ვკარგავთ, არც კი ვიბრძვით.

— სააკაშვილის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიად ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი გამოცხადდა. ანუ ახლა ვინც მავთულხლართებს ავლებს, ამბობს, ეს ის ტერიტორიაა, რომელიც სააკაშვილმა თავად გამოყოო.

— თუ მხოლოდ ესაა პრობლემა, შეგეცვალათ კანონმდებლობა.

— ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა ხალხი არ დაგვეხოცოს და ახალი ტერიტორიები არ დავკარგოთ. რამდენი ადამიანი უნდა მოვკლათ ან რამდენი ახალგაზრდა ბიჭის მემორიალი უნდა გავხსნათ, რომ საქმის კეთებაში ჩაგვეთვალოს? სამეგრელოში ავტობუსები დავწვათ და მოულოდნელად, ადგილზე ჟურნალისტები მივიყვანოთ? მუდმივად ისმის ისიც, რომ გალში პასპორტების ჩამორთმევის პროცესი დაიწყო, თუმცა იშვიათად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ასეთ ფაქტებზე საუბრობენ.

— ხაჯიმბამ უკვე დააანონსა, რომ 2015 წელს აფხაზეთში ახალი პასპორტები დარიგდება, ქართველებს კი ოფიციალური სტატუსი მიენიჭება.

— აფხაზეთიდან ქართველების გამოძევების მცდელობა არ შეინიშნება. მიიჩნევენ, რომ გალისა და ოჩამჩირის რაიონში პასპორტების გაცემის პროცედურა უნდა გადაიხედოს. დღეს დე ფაქტო ხელისუფლებაში ის ადამიანები არიან, რომლებიც ამას მუდმივად ითხოვდნენ, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამთ. რიტორიკაც კი შეცვლილია, თანაც სოხუმში, ხაჯიმბას გარდა, უამრავი ფიგურაა, მათ შორის, შამბა და ბუთბა...

— აფხაზეთი ასოცირების ხელშეკრულების წინ რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო თემა არ გახდება? ისე, იმასაც მშვიდად ისმენთ, აფხაზები ევრაზიულ კავშირში შესვლას რომ ითხოვენ?

— სავაჭრო თემად აფხაზეთის გამოყენების ნიშნებიც კი არ იკვეთება. პირიქით, აბაშიძე-კარასინის დონეზე ცალსახად ითქვა, რომ რუსეთი ვერ ხედავს მიზეზს, რის გამოც საქართველომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწეროს. შესაძლოა, შემოვლითი გზებით დაძაბულობის შექმნას ცდილობენ, თუმცა ფანტაზიორი უნდა იყო, ამტკიცო, ანქვაბი თანამდებობიდან ასოცირების ხელშეკრულების გამო გადადგაო. რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ვიმეორებ, ამის შესახებ პირველ რიგში მოსკოვი უნდა ლაპარაკობდეს. ახლა მთავარია, აფხაზურ პროპაგანდას არ წამოვეგოთ და ქართველი პოლიტიკოსები დისკუსიაში არ ჩაგვითრიონ, რათა შემდეგ ქართველებისგან მტრის ხატი არ აღადგინონ. ჯერჯერობით, მოსკოვის მხრიდან არ ჩანს მცდელობა, აფხაზეთი ჩართოს პროცესში, სადაც არ იგულისხმება მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. გალისა და ოჩამჩირის მოსახლეობის მაქსიმალურად დასაცავად, პირადადაც ვცდილობ, საჯარო განცხადებებისგან თავი შევიკავო და ქმედითად დავეხმარო კონკრეტულ ადამიანებს.

— აფხაზეთში პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, ამიტომ განაცხადეთ, ხმა დავკარგე და შეფასებებს ვერ გავაკეთებო?

— ხმა მართლაც დავკარგე. არ მაქვს უფლება, ხმა დამეკარგოს?! საერთოდ ვერ ვლაპარაკობდი! ხმის პრობლემა ახლაც მაქვს.

— გაქვთ, მაგრამ ახლა რადგანაც ხმა დაიბრუნეთ, ისიც მითხარით, სამინისტროს სახელწოდების შეცვლის შემდეგ ვინ შეარიგეთ?

— შერიგებისკენ უამრავი ნაბიჯი გადაიდგა! სამინისტროს სახელწოდება თებერვალში შეიცვალა, თუმცა ამ ხუთი თვის განმავლობაში მხარეებს შორის დაძაბულობა მაქსიმალურად განიმუხტა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში პოლიტიკური კრიზისია, თბილისს ვერაფერს აბრალებენ. ანქვაბმა განაცხადა კიდეც, ვითარება გარედან იმართებაო. ყველა მიხვდა, ვისზეც მიანიშნებდა, მაგრამ ქართულ მხარეზე ეჭვი არავის გასჩენია. ცხინვალშიც ვეღარ ამბობენ, ქართველები წყალსა და გაზს არ გვაძლევენო. პირიქით, ვეუბნებით, რომ ვთავაზობთ გაზსა და წყალს, მაგრამ შეცვალეს პოზიცია. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ მშვიდობიანი, შერიგებაზე ორიენტირებული ადამიანები ვართ. მიხვდნენ, რომ აფხაზებისა და ოსების იზოლაცია ჩვენ ინტერესებში არ არის, პირიქით, ისინი ეწევიან თვითიზოლაციას, ამიტომაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს, რომ საქართველომ სწორი, კონსტრუქციული გზა აირჩია, რომელიც შერიგებამდე აუცილებლად მიგვიყვანს. ზოგადად, კონფლიქტების მოგვარება ხანგრძლივი პროცესია. ევროკავშირშიც კი, რომელზეც ყველანი ვოცნებობთ, 40 წლის განმავლობაში კვიპროსის კონფლიქტი ვერ გვარდება. ბრალს მხოლოდ ის ადამიანები გვიყენებენ, რომლებიც ავტობუსების დაწვის გარდა კონფლიქტის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებდნენ.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

„დარწმუნებული ვარ, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი სათანადოდ აისახება მომავალ სამიტზე"

ნატო-ს შტაბ-ბინაში თავდაცვის მინისტრების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან 28+1-ის ფორმატის შეხვედრა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა: **„უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების ფონზე, განვაგრძობთ მაღალი დონის დიალოგს საქართველოსთან. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის გამო შექმნილი კრიზისი გავლენას ახდენს როგორც საქართველოზე, ასევე მის რეგიონსა და ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ნატო არ აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის არალეგალურ ანექსიას. ასევე, არ ვცნობთ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებას. ნატო იზიარებს ყველა ერის უფლებას, გააკეთოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სუვერენული არჩევანი. საქართველომ ძალიან კარგ პროგრესს მიაღწია, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით. მოუთმენლად ველით რეფორმირების პროცესის გაგრძელებას და ჩვენც გავაგრძელებთ დახმარებას ამ კუთხით. ვიმეორებ, ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში რჩება. საქართველო გახდება ნატო-ს წევრი მას შემდეგ, რაც გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოს ამ მისწრაფებას თვის ბოლოს განიხილავენ. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი სათანადოდ აისახება მომავალ სამიტზე".**

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. მან უცხოელ კოლეგებს თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია: **„პირველ რიგში, უნდა ვისაუბროთ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე, რომელიც იყო ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბოლო წლების განმავლობაში. პრაქტიკულად, ალიანსი შეთანხმდა, რომ საქართველოს პროგრესი, არა მხოლოდ დეკლარირებულად აისახება მომავალი სამიტის შეხვედრისას ბრიტანეთში, არამედ დაიწყება კონკრეტული, ქმედითი და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ეს კონსენსუსი უმნიშვნელოვანესი საფუძველია, რომ მომავალი სამიტის შემდეგ დავინახოთ რეგიონში ნატო-ს წარმომადგენლობის გაზრდა".**

თავდაცვის მინისტრი ISAF-ში მონაწილე ნატო-ს არაწევრ ქვეყნებთან თავდაცვის მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრასაც დაესწრო. სხდომაზე ავღანეთის პრეზიდენტის არჩევნები, ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა და ავღანეთში ალიანსის სამომავლო გეგმები განიხილეს. ალასანიას განმარტებით: **„მეორე შეხვედრა, ბუნებრივია, ეხებოდა ISAF-ს და ავღანეთში მიღწეულ უდიდეს წარმატებას, სადაც დიდი მადლობა გადაუხადეს საქართველოს ასეთი დიდი მონაწილეობისთვის"**

„პირველი"

ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატი ადგილობრივ არჩევნებზე

რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და რას ჰპირდება ვაკელებს თარხან გასვიანი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

თბილისის ელიტური უბანი, უამრავი მათხოვრით, გაჭირვებულით, დევნილითა და უსახლკარო ადამიანით, 16 ივნისის ადგილობრივი არჩევნების მოლოდინშია. მაჟორიტარობის ერთ-ერთ კანდიდატად ვაკეს ყველაზე ახალგაზრდა, 23 წლის თარხან გასვიანი ჰყავს, რომელიც კენჭს საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან იყრის. ასაკის მიუხედავად, გასვიანი პოლიტიკაში თუ არა, პოლიტიკურ რეპრესიებში ნამდვილად გამოცდილია — გლდანის ციხეშიც იჯდა, ორჯერ გაიტაცეს კიდეც, სააკაშვილის ხელისუფლებას კი წლების განმავლობაში, თვალში მისი მამა, თორნიკე გასვიანი არ მოსდიოდა. რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და რატომ ითხოვს ნდობას ხალხისგან 23 წლის კანდიდატი — „ვერსია“ თარხან გასვიანს ესაუბრა.

— რატომ იყრით კენჭს ვაკეში, რატომ გადაწყვიტეთ 23 წლის ასაკში პოლიტიკაში მოსვლა, როგორ აღმოჩნდით საქართველოს პატრიოტთა ალიანსში და არა სხვა პარტიაში?

— ვაკეში დავიბადე, გავიზარდე, ჩემი სამეგობრო და სანათესაო ვაკეში ცხოვრობს და სხვათა შორის, ამ უბანში ბევრ პრობლემას ჯერ კიდევ მაშინ წავაწყდი, როცა სულაც არ ვგეგმავდი პოლიტიკურად გააქტიურებას. ჩემს ასაკს რაც შეეხება, ბევრს უკვირს, რატომ ვიჩქარე და ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. არადა, ჩემი აზრით, სულაც არ მიჩქარია, 23 წლის ასაკში უკვე ბევრ უსამართლობას წავაწყდი — გვატყუებენ, სიცრუეში გვაცხოვრებენ, 3 პრეზიდენტი შევიცვალეთ და არც ერთი მათგანის მმართველობის პერიოდში ქართველი ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ახლა ჩვენი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია და დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, იმ უფლებებსაც კი ვერ იყენებს, რაც კონსტიტუციით დაუტოვეს. ვნახე ბევრი უსამართლობა, ღალატი, ტყუილი, ქართველი ხალხის მიზანმიმართული დეგრადაცია და გული გამიტყდა, თუმცა არავისზე გავბრაზებულვარ და პოლიტიკაში შებიჯებას არც ვინმეზე შურისსაძიებლად ვაპირებ. ქართველების, თბილისელებისა და ვაკელების ბედი მართლა მაღელვებს. გულწრფელად მინდა, ჩემი უბნისთვის რამე კარგი გავაკეთო და მომავალში, იმის ამბიციაც მექნება, ხალხს მეტად დავეხმარო, თუმცა არც პოლიტიკური კარიერის გაკეთებაა ჩემი იდეაფიქსი.

— შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ მამათქვენი, თორნიკე გასვიანი ერთ დროს სააკაშვილის მეგობარი იყო, არჩევნების მოგებაშიც დაეხმარა, თუმცა მერე ციხეში აღმოჩნდა და ციხის ცნობილ კადრებშიც კი მოხვდა. რა მოხდა რეალურად?

— წინა რეჟიმი მთელ ჩემს ოჯახს გადაეკიდა. მამაჩემსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, მის გაპრეზიდენტებამდე ნორმალური ურთიერთობა მართლაც იყო, მაგრამ ეს ურთიერთობა არასწორად მიტანილი ინფორმაციების შემდეგ აირია და საბოლოოდ გაფუჭდა. სააკაშვილი ძალაუფლებამ გააბრუა და პირად ანგარიშსწორებაზე გადავიდა. 2010 წელს, წავკისის აგარაკზე მამაჩემს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი და იარაღი ჩაუდეს და მძიმე ბრალდებებით დააკავეს. აგარაკიდან რამდენიმე წუთის წამოსული ვიყავი და როგორც მოგვიანებით გაირკვა, მხოლოდ იმიტომ გამომიშვეს, რომ საქმის შეკერვისას ზედმეტი მოწმეები არ სჭირდებოდათ. მამაჩემმა სააკაშვილის ხელისუფლების შესახებ ძალიან ბევრი იცოდა და როგორც ჩვენი იურისტები ვარაუდობდნენ, იმავე სააკაშვილმა იგი შეწყალებით სწორედ ამიტომ გამოუშვა.

— გამოდის, თორნიკე გასვიანი წინა ხელისუფლებისთვის ახლაც საფრთხეს წარმოადგენს. ალბათ, ბევრმა ისიც არ იცის, რომ 2012 წელს ორჯერ გაგიტაცეს კიდეც. ამას თავად როგორ ხსნით?

— პირველ რიგში, ყველას მინდა ესმოდეს, რომ სამაგიეროს არავის ვუხდი და არც მამაჩემი აპირებს ჩემი საარჩევნო კამპანიის პირადი ანგარიშსწორებისთვის გამოყენებას. ორჯერ ნამდვილად გამიტაცეს, თუმცა მანამდე გლდანის მერვე იზოლატორში ვიჯექი, რადგან ადამიანის „ჩაშვებას“ მთხოვდნენ და ეს არ გავაკეთე, არ „ვითანამშრომლე“. ეს 2012 წლის 1 აგვისტოს მოხდა — სამუდამო პატიმრობით მემუქრებოდნენ, ამბობდნენ, მამაშენის გზას გაგიყენებთო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ცრუ მოწმედ ვერავის დავუდგებოდი, ამიტომ გლდანში გადამიყვანეს და იქ 4-5 თვე დავყავი. ჩემს ოჯახს ადვოკატის მეშვეობით ვეუბნებოდი, თუ მთავრობა არ შეიცვლება, გარეთ არ გამოვალ და პროკურატურას თეთრსაც არ გადავუხდი-მეთქი. ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ძალიან ცუდი გუნდი დატოვა. დღესაც იგივე განწყობა მაქვს — ჩემს პრინციპებს მაინც არ ვუღალატებ და თუ მომიწია, ციხეში კიდევ ჩავჯდები! ციხიდან ახალი გამოსული ვიყავი, როცა ძველი თბილისის, გრიშაშვილის განყოფილების სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელმა, ლუკა ჭანჭალეიშვილმა გამიტაცა. ტაქსის გაჩერებისას, არ აუხსნია, ვინ იყო და რა უნდოდა, ისე „ჩამტენა“ მანქანაში. იქ ფორმიანი მხოლოდ ერთი პოლიციელი იყო, მე კი „თორნიკევიჩით“ მომმართავდნენ, რის შემდეგაც მივხვდი, რომ საქმე ისევ მამაჩემს ეხებოდა. თავი 12 ადგილას გამიტყდა, რამდენიმე საათის მანძილზე რაციას მირტყამდნენ, შემდეგ განყოფილებაში შემიყვანეს, დამაბეს და 3 საათი შეუჩერებლად მცემდნენ. ლუკა ჭანჭალეიშვილის წინააღმდეგ საჩივარიც შევიტანე, თუმცა, როგორც ვიცი, საქმე გაჩერებულია. ასე მეუბნებოდნენ, გგონია, „ოცნება“ მოვიდა და ყველაფერი შეიცვალა, ძალოვან უწყებებში ისევ ჩვენ ვართ და ისევ ჩვენია მთელი ქალაქიო. იმ დღეს პოლიციის შეურაცხყოფისთვის დამაჯარიმეს. ამის მერე, აპრილში, მეორედ გამიტაცეს და ავლაბრის სასაფლაოზე წამიყვანეს, სადაც ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს.

— ისე, გასვიანების ოჯახს პროკურატურაში რამდენიმე საჩივარი გაქვთ შეტანილი, რომელიმე საქმე დაიძრა მაინც?

— ჩემი მეორედ გატაცებაც მამაჩემის საქმეს დავუკავშირე. მას რამდენიმე საჩივარი უკვე შეტანილი ჰქონდა, წამების კადრებთან დაკავშირებით და ვიფიქრე, რადგან მამაჩემის ერთადერთი სუსტი წერტილი ვიყავი, ალბათ, სურდათ, ეს საჩივარი უკან გამოეტანა. თითქოს, ახლა მამაჩემის ერთ-ერთი საჩივარი წინ მიდის. მას თვენახევრის წინ დაურეკეს და უთხრეს, ციხის კადრებთან დაკავშირებით გამოძიება დაიძრაო. მამა ისევ დაკითხეს, დაიკითხა ლადო ბედუკაძეც. თუმცა ოპტიმისტურად მაინც არ ვარ განწყობილი, რადგან ეს მხოლოდ წინასაარჩევნო რეკლამა მგონია. მე უფრო ახალი ხელისუფლების გამოჩენას ველი.

— და ვინ უნდა იყოს ეს „ახალი ხელისუფლება“?

— ახლა ასპარეზზე ძალიან ბევრი ახალი პარტია გამოჩნდა, მაგრამ საარჩევნო გარემო ისევ არაჯანსაღია. საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმასაც კი ამბობდნენ, ხმას თუ „ოცნებას“ არ მისცემთ, ხელისუფლებაში ისევ ნაციონალები დაბრუნდებიანო. ეს ჭორები დღესაც მაგრად მუშაობს — ოღონდ ნაციონალები არ დაბრუნდნენო და ხალხის ნაწილი 41-ს ბრმად ხაზავს. თუმცა ვფიქრობ, ახლა ასპარეზზე საქმის გამკეთებელი ბევრი პარტია ჩანს. კონკრეტულად, ირმა ინაშვილის პარტიაზე გეტყვით — იგი პროფესიონალი ჟურნალისტი და პრინციპული ადამიანია და მის დაქვემდებარებაში მყოფი ვიცემერები თავიანთ საქმეს აუცილებლად პირნათლად შეასრულებენ. ტელევიზია „ობიექტივმა“ მამაჩემზეც არაერთი სიუჟეტი გააკეთა, მისი ერთ-ერთი წამყვანი მეც გახლდით 3-4 თვის განმავლობაში და ალბათ, ჩემი პრინციპულობა დაინახეს. შესაბამისად, ვაკის მაჟორიტარობა შემომთავაზეს. იციან, ხალხს არ მოვატყუებ!

— ვაკე ელიტურ უბნად კი მიიჩნევა, მაგრამ პრობლემა ძალიან ბევრია, კონკრეტულად, რა და როგორ უნდა მოაგვაროთ?

— პირველ რიგში, ტყუილ დაპირებებს არ გავცემ და მაგალითად, არ ვიტყვი, რომ საკრებულოში ჩემი ყოფნის დროს ქვეყანაში სამართლიანობას აღვადგენ. დიახ, ვაკე ელიტური უბანია, სადაც ძალიან ბევრი გაჭირვებული, უსახლკარო და დევნილი ადამიანი ცხოვრობს. გვყავს უამრავი სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახიც. ამ ადამიანებს ვპირდები, რომ მათთვის გამოყოფილი ყოველი თეთრი მათსავე კეთილდღეობას მოხმარდება და ამ ფულით ჩემი ჯიბე არ გაივსება! ვაკეში გამწვანებისა და განაშენიანების დიდი პრობლემაც დგას და ახლა, ამ კუთხით, ბრძოლის მეტი საშუალება მექნება.

— რატომ ფიქრობთ, ვაკელებმა შანსი გამოუცდელ, 23 წლის კანდიდატს უნდა მისცენ და არა გამოცდილ პოლიტიკურ ლიდერს, რისი იმედი გაქვთ?

— პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ არა მგონია, ნაციონალები საერთოდ ხუთეულში შევიდნენ. „ქართულ ოცნებას“ მაგიდაზე რაღაც პროცენტი უკვე უდევს და საარჩევნო ბრძოლას ისე იწყებს, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის არ კმარა! ვფიქრობ, „ოცნებამ“ ხალხს იმედი გაუცრუა, რადგან შეხვედრებისას, მოსახლეობა ხშირად მეუბნება, ხელისუფლების მიერ შესრულებული არც ერთი დაპირება არ გვინახავს და ცვლილებებიც არ შეგვხებიაო. წინასწარი გამოკითხვებით, ჩემს პარტიას ხალხი მხარს უჭერს, ენდობა. საქართველოს მოსახლეობა ამ ტყუილებით დაიღალა. დიახ, 23 წლის ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ბევრი მაქვს გაკეთებული ჩემი ქვეყნისთვის, მაგრამ არც ერთი პოლიტიკური ძალის მსახური არ ვყოფილვარ და ვფიქრობ, დღეს ქართულ პოლიტიკას და თუნდაც ხელისუფლებას რეალურად ახალი სახე და ახალი სისხლი სჭირდება. ვაკის მოსახლეობამ შანსი უნდა მომცეს რათა დავანახო, მათთვის რისი გაკეთება შემიძლია!

ექსკლუზიური ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან

მე-3 გვერდიდან

— რაც შეეხება პრემიებს, წინასაარჩევნოდ ტელევიზიებში ვიდეორგოლი ტრიალებს, სადაც ნათქვამია, რომ 48 ათას ლარზე მეტი პრემია მიიღეთ.

— ვიდეორგოლში წლიური თანხაა დაჯამებული. 2011 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილის შესახებ არაფერი ვიცოდი, წლიური შემოსავალი 87 ათასი ლარი მქონდა. ანუ თვეში — 7 000 ლარი. შემეძლო მეტიც მქონოდა, მაგრამ გარკვეულ პროექტებზე უარს ვამბობდი, ოჯახის სარჩენად კი ეს თანხა საკმარისი იყო. 2013 წელს, როცა მინისტრის თანამდებობა მეკავა, წლიურმა შემოსავალმა 80 ათასი ლარი, ანუ წინა წლებთან შედარებით 7 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა. შესაბამისად, ჩემი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. თანაც 2013 წელს ხელზე 6300 ლარს ვიღებდი, წელს კი 5000 მაქვს. შესაძლოა ეს ციფრები ვიღაცისთვის ბევრია, მაგრამ ჩემთვის — არა. თანაც, პირადად მე, პრემია ბოლოს 2013 წლის თებერვალში გამოვიწერე 3200 ლარის ოდენობით. მას შემდეგ პრემია არ ამიღია. 2013 წლის მარტიდან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თითოეულ მინისტრს ხელფასზე დანამატი განესაზღვრა. ჩვენ განვაცხადეთ, რომ არასერიოზულია, როცა ყოველთვე მინისტრი პრემიას იღებს, თუმცა მეორე მხრივ, 3 500 ლარი ხელფასისთვის ძალიან ცოტაა. ამიტომ გადავწყვიტეთ სააკაშვილის მსგავსად ხალხი არ მოგვეტყუებინა და გულახდილად განვაცხადეთ, რომ მინისტრის თვიური შემოსავალი 6 300 ლარია.

— და რა მნიშვნელობა აქვს, ხელფასი იქნება თუ დანამატი, თუ წინა ხელისუფლებაცა და თქვენც ერთ თანხას იღებთ?

— ჩვენ ხალხს არ ვატყუებთ. როგორც კი, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერი გახდა, გვითხრა — უკაცრავად, ქალბატონებო და ბატონებო, 6 300 ლარი ძალიან ბევრია, 5000 ლარს დაკმაყოფილდითო. წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში კი, 2013 წელს მიღებულ ხელფასს ცხვირში გვჩრიან. მიმაჩნია, რომ თავისსამართლებელი არაფერი მჭირს, რადგან ფინანსურად ჩემი ოჯახი მნიშვნელოვნად დავაზარალე. თუმცა აქ საქმეს ვაკეთებ, არასამთავრობო სექტორში კი მხოლოდ საქმის მომწიფების შესაძლებლობა მქონდა. იმასაც არ დაგიმალავთ, რომ ზოგიერთ თანამშრომელს პრემიებს რეგულარულად ვუწერ.

— თანამშრომლებს პრემიას ყოველთვიურად უწერთ?

— დიახ, რადგან მყავს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მართლაც 24 საათის განმავლობაში ჩემთან ერთად მუშაობენ — ნებისმიერ დროს ჩემ ზარსა თუ მეილს საკმაოდ კვალიფიციურად პასუხობენ. თუ გვინდა, სახელმწიფო მანქანა ამუშავდეს, სხვაგვარად არ გამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციაში წავლენ.

— 5000 ლარზე ნაკლები რომ გქონდეთ, არასამთავრობო ორგანიზაციაში წახვალთ?

— პირველ რიგში, ოჯახს დაველაპარაკები. თუ ძაღლს არ ჩავთვლი, ოჯახში თერთმეტნი ვართ და ჩემ გარდა, ყველა უმუშევარია. ჰალსტუხების გარდა ჩემთვის ყველაფერს მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში ვყიდულობ და ამის არ მრცხვენია — ტიპური თბილისელი, რიგითი მოქალაქე ვარ. ჩემი მეუღლე თვეში ერთხელ ლილოში დადის და ყველაფერს ბითუმად ყიდულობს. მთელი თვის მარაგს წინასწარ ვაგროვებთ, თვის დასაწყისში ჩემი სახლის საპირფარეშოში ნორმალურად ვერ შეხვალთ, ყველგან რაღაც ალაგია. როცა ხელფასამდე 700-800 ლარი მრჩება, ოჯახის წევრებს ვეუბნები — გვეყო ფულის ხარჯვა, ხელფასს დაველოდოთ-მეთქი. ასე რომ, საბოდიშო არავისთან არაფერი მაქვს.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„აფხაზეთიდან ეთნიკური ქართველების გამოსახლება დაიწყება!“

რა ინფორმაციას აწვდიან სოხუმიდან ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოძრაობის ლიდერს, ნესტან კირთაძეს



„ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აფხაზეთის კონსტიტუციის 65-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას ვტოვებ“, — განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა და დე ფაქტო პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა. ორიოდ დღეში, მას ე.წ. პრემიერ-მინისტრი ლაკერბაიაც მიჰყვა. ხოლო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 24 აგვისტოს ჩაინიშნა. როგორც ირკვევა, გადამდგარი ლიდერები არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებენ და ერთ-ერთ სერიოზულ კანდიდატად რუსეთის მოტრფიალე რაულ ხაჯიმბა მოგვევლინება, რომელიც მეტად კმაყოფილი ჩანს: „შესაძლებლობა გვეძლევა, დავიწყოთ სრულიად ახალი დიალოგი, რომელიც ყველას გაგვაერთიანებს!“ სოხუმში შექმნილი ვითარება, ცხადია, რუსეთის მიერ მთელ რეგიონში განვითარებული მოვლენების კიდევ ერთი ჯაჭვია, მაგრამ ისიც სდევს, რომ 29 მაისს ევრაზიული ეკონომიკური კავშირი შეიქმნა და დიდი ალბათობით, აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით, ამ კავშირს 2015 წლიდან შეუერთდება. მოკლედ, როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რას ფიქრობენ აფხაზეთში დარჩენილი ქართველები ამ ვითარებაზე და საუკუნის რა დილემის წინაშე დგას საქართველო — „ვერსიას“ ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოძრაობის ლიდერი, ისტორიკოსი ნესტან კირთაძე ესაუბრება.

— მოულოდნელი არაფერი მომხდარა და ალბათ, ნებისმიერი ჩვენგანი მიმდინარე პროცესს მთელი რეგიონული პოლიტიკის ცვლილების კონტექსტში დაინახავს. გასაკვირი ის იყო, რომ მომხდარზე პასუხისთვის მთელი მთავრობა — შესაბამისი მინისტრი და პოლიტიკოსები — სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ისინი არაადეკვატურ ანალიზს აკეთებდნენ და ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდს გამოთქვამდნენ, თუმცა ეს მათი პრობლემაა. პროცესი, რაც დღეს აფხაზეთში მიდის, კლანურ გარჩევებს სულაც არ უკავშირდება. სხვათა შორის, ალექსანდრე ანქვაბმა თავის მოვალეობა შეასრულა — საკუთარი ხალხი სისხლისღვრამდე არ მიიყვანა; მეტიც, მზად იყო, თავი ფიზიკურადაც კი გაეწირა და ამაზე მისი უახლოესი გარემოცვის წევრები საუბრობდნენ. ანქვაბმა, როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა, ზუსტად იცის, რომ ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ ააბრუნებს, ამიტომ უაზრო კონფრონტაციაზე არ წავიდა. სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ერთ-ერთი კომპონენტია, მაგრამ არა ის ფონი, რომელმაც აფხაზეთში ეს პროცესები შექმნა. რუს იმპერიალისტებს ერთი ცნობილი გამოთქმა აქვთ — მთავარი კარგად შერჩეული დროა, თორემ საბაბი ყოველთვის მოიძებნება. საბაბად რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ალექსანდრე ანქვაბის განსაკუთრებული მმართველობის სტილიც კმარა, რომელმაც ხელისუფლების მონოპოლიზება მოახდინა, თუმცა მთავარი მიზეზი ისაა, რომ რუსეთი თავის სურვილსა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გავლენას აძლიერებს როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ისე სამხრეთ კავკასიის მიმართულებით.

— ალბათ, დრო სწორად შერჩეულია, რადგან საქართველო ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს დღე დღეზე მოაწერს. კონკრეტულად როგორ შეუშლის ხელს სოხუმში მიმდინარე მოვლენები ჩვენს ევროინტეგრაციას?

— რა თქმა უნდა, ეს სწორად შერჩეული დროა და არა დამთხვევა. თუ ჩვენი ხელისუფლება მთლად არ გაგიჟდა და ქვეყნის შიგნით რაღაც საოცრება არ მოახდინა, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას წინ ვეღარაფერი დაუდგება. თუმცა ამის საპირწონედ, უკვე ინსტიტუციურ დონეზე, რუსეთს თავისი პასუხი ექნება — იგი ახლადშექმნილ ევრაზიულ კავშირში აფხაზეთის შეყვანას აპირებს, რასაც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა, რა თქმა უნდა, დათანხმდება. თუმცა აქვე ცალსახად უნდა მოიხსნას აფხაზეთის რუსეთში შესვლის საკითხი, რადგან ვერც ერთი მთავრობა და ხელისუფლება აფხაზ ერს ვერ გაუბედავს თქმას, დამოუკიდებლობა დათმე და რუსეთში შემოდიო. ამ შემთხვევაში, აფხაზეთი კარგავს თვითმყოფადობას, ეთნიკური ქართველები დგებიან საფრთხის წინაშე და აფხაზური მიწები მთლიანად რუსეთის საკუთრებაში გადადის, ამიტომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ თავიანთ სტატუსს. რუსეთმა გარკვევით უთხრა აფხაზეთს — მე ვქმნი ამ ალიანსს და რაკი უკრაინა იქ არ აღმოჩნდა, მასში შემყავს სხვა სახელმწიფოები, პირველ რიგში კი შენ ანუ ჩემ მიერვე აღიარებული აფხაზეთიო.

— ამ საფრთხეების წინაშე აფხაზეთი ევრაზიულ კავშირში შესვლის შემთხვევაში არ დგება?

— საკითხი ძალიან მწვავედ დგას — ღრმად იყავით დარწმუნებული, რომ აფხაზეთიდან ეთნიკური ქართველების გამოსახლება დაიწყება და ამის მთავარი მიზეზი ქართველთმოძულეობა კი არა, ქართველების კუთვნილი მიწების გასხვისების დაკანონება და ამ მიწების რუსეთისთვის გადაცემა იქნება. ეს რუსეთთან აფხაზეთის ასიმილაციის ერთადერთი გზაა, ოფიციალურად, აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის გარეშე. ამ ყველაფრის პრევენცია ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიცია უნდა ყოფილიყო. ამ დროს რა ხდება — საქართველოს ერთიანობას ჩვენთან ერთადერთი სამინისტრო აღნიშნავდა, ისიც მხოლოდ სახელით. დღეს კი მას ეს სახელიც გადაარქვეს და შერიგების სამინისტრო დაარქვეს. ჩახუტება, გულში ჩაკვრა და შერიგება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციას შეიძლება ერქვას და არა ტერიტორიებდაკარგული სახელმწიფოს ოფიციალურ უწყებას! ჯანდაბას, დაარქვეს ეს სახელი, მაგრამ რა ნაბიჯები გადაიდგა თუნდაც შერიგების მიმართულებით? პოზიციის არქონა ყველაზე დიდი უუნარობა, სირცხვილი და საკუთარი მარცხის განცდაა. მინდა ვთხოვო საზოგადოებას, დაანგრიოს მითი, თითქოს უცხოეთი რაღაცებს გვკარნახობს, მათ შორის სამინისტროების სახელწოდებას. ეს აბსოლუტური მითია. თუ ამ სახელის შეცვლა საერთოდ ვინმემ გვაიძულა, ეს შეიძლება კარასინის წინადადება იყოს აბაშიძის მისამართით, რომელმაც მერე ეს ამბავი მთავრობას მოახსენა.

— ერთია, რას წერს უცხოური და რუსული პრესა სოხუმის მოვლენებზე, მაგრამ მეორეა, უშუალოდ აფხაზები და ეთნიკური ქართველები რას ფიქრობენ, ვის უთანაგრძნობენ, სურთ თუ არა რუსეთში მეტად ინტეგრაცია. თქვენი ქართულ-აფხაზური სამშვიდობო სახლის ფარგლებში, რა ინფორმაცია გაქვთ?

— ამ დღეებში აფხაზებთან ბევრი ზარი და მიმოწერა მქონდა. იქ აბსოლუტური შიშია გამეფებული. მოსახლეობა ამ ვითარებას დიდი სიფრთხილით უყურებს და რა ურთიერთობაც უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, დასმულ კითხვებსაც ღიად და პირდაპირ ვერ პასუხობენ. მეტიც, ზუსტად 2 დღის წინ, თბილისში გუდაუთიდან ჩამოსულ აფხაზებს შევხვდი. მათ მიამბეს, როგორ ეშინოდათ აქ ჩამოსვლის, მიყვებოდნენ, როგორ ეშინოდათ ღამე დაძინების, რადგან არსებობდა მითები, თითქოს, მათ აქ ქართველები რაღაცას მოუწყობდნენ. როგორც კი საქმე კითხვაზე მიდგა, თქვენთან რეალურად რა ხდება და რას ნიშნავს მთელი ეს პროცესები სოხუმში, მაშინვე გაჩუმდნენ — მათ მომავლის ეშინიათ. ამბობენ, მოვლენების განვითარებას დაველოდოთო. მოვლენები კი ასე განვითარდება:

> **რუსეთი აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას ყველა იმ მოთხოვნას დააკმაყოფილებინებს, რაც მის ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ ინტერესშია. ეს ყველაფერი კი ევრაზიულ კავშირში აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად შესვლით დასრულდება! ეს გზა ჩვენ უკვე გავიარეთ და იმისთვისაც მზად უნდა ვყოფილიყავით, ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთი რაღაც ტიპის რეგიონულ გაერთიანებებში აუცილებლად აღმოჩნდებოდა. გაიხსენეთ, 20-იან წლებში ამიერკავკასიის გაერთიანებაში აფხაზეთი ცალკე რესპუბლიკად, ცხინვალის კი ოლქად, ჩვენზე 10-15 წლით ადრე შეიყვანეს. ახლა რუსეთი იგივეს გეგმავს. უახლოეს მომავალში, „ოცნების“ ხელისუფლების წინაშე საკითხი ასე დადგება: დაგიბრუნებთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს, ოღონდ ევრაზიულ კავშირში შემოდითო. ასეთ ვითარებაში, ალტერნატივის წინაშე დგას უკვე არა აფხაზეთი, არამედ საქართველო.**

— მეორეს მხრივ, პოლონეთის თავდაცვის ექსმინისტრმა განაცხადა, უმჯობესია, ნატო-ში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე შემოხვიდეთ, ვიდრე მთლიანად ალიანსის გარეთ დარჩეთო... ანუ ქართველი ერი ახლა ამ დილემის წინაშე დადგება?

— უწინარეს ყოვლისა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ კი არ ვეხვეწებით ევროპას, ალიანსში მიგვიღეთო, ალიანსის ქვეყნების ინტერესში აქეთ შედის კავკასიის რეგიონში გავლენის გაძლიერება. თუმცა აქ მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია კონსენსუსი თავად ნატო-ს ლიდერ ქვეყნებთან. საფრანგეთისა და გერმანიის პოზიცია ყოველთვის საქართველოს საწინააღმდეგო იყო. გარდა ამისა, არის წესდებითი ნაწილიც, რომელიც მიმდინარე კონფლიქტის მქონე ქვეყნის ნატო-ში შეყვანას არ დაუშვებს. ამიტომ ვსვამ კითხვას — როცა რუსეთის ფედერაცია მთელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და რუკას ცვლის და ახალი საფრთხის წინაშე უკვე კონტინენტურ ევროპას აყენებს, რატომ არ უნდა დაიცვას ალიანსმა პარტნიორი ქვეყანა?! არის თუ არა პატარა, დაშლილი საქართველოს ლეგიტიმური უფლება, ევროპისგან უსაფრთხოების გარანტია მიიღოს?! დღეს ჩვენი მთავრობის წევრები სწორედ ამ თემებზე უნდა საუბრობდნენ ხალხთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთმანეთთან. თუმცა მათ რამდენიმე მოდური სიტყვა — „გამოწვევა“, „ლეგიტიმური“, „ადეკვატური“ ისწავლეს და ქართული პოლიტიკა ახლა მხოლოდ ამ სიტყვების რახა-რუხია! ქვეყანა არა არჩევანის, არამედ დილემის წინაშე დგას — ეს არის დილემა უსაფრთხოებასა და საფრთხეს შორის! დიახ, დღეს საქართველოს სუვერენიტეტი და მისი დამოუკიდებლობა საფრთხეშია!

— და რას აირჩევს საქართველო?

— პარლამენტის თავმჯდომარე ბიბლიის კომენტატორად რომ იქცა და პატრიარქს საეკლესიო კანონის სწავლება დაუწყო, ახლა მის უმრავლესობას, დავით უსუფაშვილსა და დანარჩენებს მივმართავ — ნუ ასწავლით პატრიარქს, რა როლი შეასრულა საქართველომ ევროპისთვის. თქვენ არ ხართ ევროპა, თქვენ ახლა გაიგეთ, რა არის ევროპა, როცა რამდენიმე პროექტში ჩაებით და თქვენს ანგარიშებზე მილიონები დაჯდა! დღეს საქართველო და მისი საუკუნოვანი ბრძოლა აღმოსავლური სამყაროს წინააღმდეგ, ევროპის კარიბჭის დასაცავად, ლოგიკურ დასასრულთან მიდის და ხელისუფლების პირველმა პირებმაც კარგად დაიმახსოვრონ, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ევროპასთან ხელს აწერს საქართველო და არა ვიღაც მოკვდავი, რომლის ფაქსიმილეს არანაირი აზრი არ აქვს. თუ 27 ივნისი ამ საზომით არ გაიზომება, მაშინ ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი აბსოლუტურად ფუჭია.

ვერსიანიუსი

„ეკონომიკის 6,3%-იანი ზრდა შესრულებადია“

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ეკონომიკის 6,3%-ით ზრდის თაობაზე პრემიერ-მინისტრის მიერ დასახელებული პროგნოზი შესრულებადია. კვირიკაშვილის თქმით, წინასწარ დასახელებული ციფრები მხოლოდ რეგიონული კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში შეიძლება გადაიხედოს, რასაც არ ელოდებიან: **„ჩვენი ბიუჯეტი გათვლილია 5%-იან ზრდაზე. ეს არის ის, რაც ჩვენ სავალდებულოდ შესასრულებელი გვაქვს, თუმცა 6,3%-იანი ზრდის შესაძლებლობა პრემიერმა მსოფლიო ბანკის შესაბამისი პროგნოზიდან გამომდინარე არ გამორიცხა. არის სხვადასხვაგვარი პროგნოზი. მოვლენები, ჯერჯერობით, დადებითად ვითარდება და ვნახოთ, თუ არ იქნა სერიოზული უარყოფითი ეფექტი, თუ არ გაღრმავდა კრიზისი, მათ შორის უკრაინაში, მაშინ ეს არის აბსოლუტურად შესრულებადი. თუ, გაღრმავდა რეგიონული კრიზისი, რასაც არ ველოდებით, შეიძლება გადაიხედოს ციფრები. საერთოდ, ეკონომიკური ზრდა არ არის კონსტანტა, ესაა დაგეგმილი მაჩვენებელი და ნებისმიერი დაგეგმილი მაჩვენებელი მოიცავს გარკვეულ ცდომილებას, თუმცა 5%-იანი ზრდა ნამდვილად შესრულდება“.**

მინისტრმა ინვესტიციების ზრდაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ კუთხით გამოცოცხლება არაერთ სექტორში შეინიშნება **„განსაკუთრებითაა გამოცოცხლებული სამშენებლო სექტორი, შენდება უამრავი ახალი სასტუმრო, ტურისტული ობიექტები, არის ბევრი ახალი ინვესტიცია საფინანსო სექტორში. ვაჭრობაც მნიშვნელოვნადაა გამოცოცხლებული. გვაქვს ექსპორტის ზრდაც“.**

„ინტერპრესნიუსი“

პაატა ქარდავას ოჯახი „მკვლელი“ თენგიზ გუნავას დასჯას ითხოვს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„ოცნების“ ხელისუფლება თავის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იმას მიიჩნევს, რომ „შიში დაძლეულია, ადამიანებს აღარ ატერორებენ, ხალხს ხელისუფლების, კლანებისა და, ზოგადად, პოლიტიკოსების აღარ ეშინია!“ რეალობაა ეს თუ „ოცნების“ ჯერ კიდევ აუხდენელი ოცნება? როგორც ჩანს, ნაციონალური ხელისუფლების ცხრაწლიანმა ტერორმა ისეთი დაღი დაასვა მოსახლეობის ფსიქიკას, რომ რეჟიმის შიშის დასაძლევად ჯერ კიდევ საკმაო ხანი დაგვჭირდება. ამ მხრივ ყველაზე საგანგაშო ვითარება სამეგრელოშია, სადაც, როგორც ირკვევა, ამომრჩეველი „კლანურ ფობიას“ ჯერ კიდევ განიცდის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დღემდე არსებული ყველა ხელისუფლება ამ რეგიონის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობდა — სამეგრელოს თუ აკონტროლებ, საკუთარი პოლიტიკური სურვილების განხორციელების მეტი შანსიც გაქვს და პოლიტიკური ვითარების ლავირებაც შეგიძლია. რა ხდება დღეს სამეგრელოში?

რა გავლენას მოახდენს „კლანური ფობია“ სამეგრელოში არჩევნების შედეგებზე და რა კავშირი აქვს ნაციონალების კანდიდატს 20 ადამიანის გაუჩინარებასთან

ოკუპირებული აფხაზეთის მოსაზღვრე რეგიონში ლოკალური აფეთქებების შანსი ყოველთვის არსებობს, თუმცა ხშირად პოლიტიკოსთა ვიწროპარტიულ ამბიციებს ქვეყნის ინტერესები ეწირება და, რაოდენ დიდიც უნდა იყოს სურვილი ხელისუფლების დამარცხებისა, სამეგრელოში მოქმედ ყველა პოლიტიკოსს მუდმივად ცეცხლთან თამაში უწევს. თუმცა ისტორიული რეალობაა ისიც, რომ სამწუხაროდ, ამ შანსების გამოყენებაზე არასოდეს, არავინ ამბობდა უარს მიუხედავად იმისა, როგორ მოქმედებდა ეს ქვეყნის მომავალზე. ნაციონალების 9-წლიანი ტერორი და არჩევნებზე დაშინებისა და ზეწოლის გზით ხმების მიღება რა მოსატანია, როცა სამეგრელოში, სადაც ახალაიების კლანი ბოგინობდა, ხალხს აუპატიურებდნენ, ხოცავდნენ, აუჩინარებდნენ... ეს უკანასკნელი მეთოდი კი, როგორც სამეგრელოში ყვებიან, ყველაზე აპრობირებული ყოფილა: **„დაუმორჩილებელი მოქალაქეები სახლიდან გაურკვეველი მიმართულებით გაჰყავდათ და შინ აღარ ბრუნდებოდნენ. ჩვენი ინფორმაციით, მათ ჯერ ხოცავდნენ, შემდეგ კი ფეხზე ლოდს აბამდნენ და ტბაში ან ზღვაში ძირავდნენ. მიზანი ადვილად გასაგებია: არ არის გვამი — არ არსებობს დანაშაული და შესაბამისად დამნაშავე. ასე დაიკარგა უგზოუკვლოდ დაახლოებით 20 ადამიანი. მათი გაუჩინარების შესახებ, აღიარებითი ჩვენებებიც არსებობს. ასეც რომ არ იყოს, არც ისე დიდი დროა გასული და, ცოცხლები არიან ადამიანები, რომლებიც მათ იცნობდნენ და რომლებმაც იციან, რომ ერთ არამშვენიერ დღეს, ისინი სახლიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან“,** — გვიამბობს წყარო, რომელიც ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, იმასაც გვეუბნება, რომ ყველაზე მეტად ერჩოდნენ ირაკლი ალასანიას მომხრეებს. ასე დაიგეგმა ალასანიას თანაგუნდელი სერგო ჩაჩიბაიას ფიზიკური ლიკვიდაცია. მოკვლას უპირებდნენ თურმე გოგი ნაჭყებიასაც, რომელიც დღეს სამეგრელოს სუს-ის უფროსია. მოგვიანებით, წყაროსთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ლიკვიდაციის გეგმა შეიცვალა და ისინი დააპატიმრეს.

სამეგრელოში ადამიანების გაუჩინარება-დახოცვის შესახებ ინფორმაცია რომ მხოლოდ შეთითხნილი ჭორი არაა, 5 ივნისს დამტკიცდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო გიორგობიანმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას აუწყა, რომ თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცრის, პაატა ქარდავას გაუჩინარების საქმე გახსნილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა: **„2008 წლის აგვისტოს ბოლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა, რომან შამათავამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს დაავალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის, პაატა ქარდავას თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და ქალაქ ბათუმში ჩაყვანა. მიღებული დავალების შესაბამისად, 2008 წლის 27 აგვისტოს, ქალაქ ზუგდიდში არსებული ფოსტის შენობის მიმდებარედ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს პაატა ქარდავას, რომელიც გადაადგილდებოდა პირად სარგებლობაში არსებული „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით და წაიყვანეს ქალაქ ფოთის მიმართულებით. ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მიმდებარედ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ხელბორკილდადებული და თვალებახვეული პაატა ქარდავა გადასვეს „ნივის“ მარკის ავტომანქანაში, რომლითაც გადაიყვანეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შეკვეთილში, სადაც გადასცეს რომან შამათავასა და მის თანამზრახველებს, ხოლო პაატა ქარდავას სარგებლობაში არსებული ავტომანქანა, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, კვალის არევის მიზნით, დატოვეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში. რომან შამათავამ და მისმა თანამზრახველებმა პაატა ქარდავა გადაიყვანეს ქალაქ ბათუმში და მიიყვანეს შავი ზღვის ნავმისადგომთან, სადაც რომან შამათავა პაატა ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რის შემდეგაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პაატა ქარდავას, რომელიც თავის მხრივ კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულს. რომან შამათავას დავალებით, მას და მისი ჯგუფის წევრებს ნავმისადგომთან ელოდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუდ-ის მთავარი სამმართველოს მოტორიანი ნავი, რომელსაც მართავდა ამავე დანაყოფის თანამშრომელი. ბორკილდადებული და თვალებახვეული პაატა ქარდავა ჩასვეს აღნიშნულ ნავში, რომან შამათავამ მას ფეხზე მოაბა ბეტონის ნატეხი და შევიდნენ შავი ზღვის სიღრმეში, დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილზე, რა დროსაც რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში ერთი გასროლით მოკლა პაატა ქარდავა და ცხედარი ზღვაში გადააგდო.**

ჩადენილი დანაშაულისათვის რომან შამათავა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით, საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველო“.

„ვერსიის“ წყარო აცხადებს, რომ სამეგრელოში პაატა ქარდავასა და გოგიტა აბულაძის გაუჩინარებას, რომან შამათავას გარდა, ნაციონალების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატის, თენგიზ გუნავას სახელსაც უკავშირებენ. მეტიც, ქარდავას ოჯახის წევრები პირდაპირ აცხადებენ, **„მკვლელი შამათავაა, თუმცა მკვლელობის შემკვეთები თენგიზ გუნავა და ის მაღალჩინოსნები არიან, რომლებიც 2008 წელს სამეგრელოში ბოგინობდნენ. მათ უმკაცრეს დასჯას ვითხოვთ და თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, განაჩენს ჩვენ გამოვუტანთ“.**

გუნავა იმ პერიოდში სამხარეო პოლიციის უფროსი გახლდათ, სამეგრელოში ახალაიების კლანის წარმომადგენლად მოიაზრებენ და ამბობენ, რომ ნაციონალებს დიდად გულზე არ ეხატებათ, მაგრამ სჭირდებათ, რათა მისი სახით, სამეგრელოში „ახალაიების ფობია“ შეინარჩუნონ. ნაციონალები გუნავას „პოლიტიკური აღდგომისთვის“ რომ იყენებენ, ამის დასტური ისიცაა, რომ ეს უკანასკნელი ზუგდიდში დადის და ხალხს ეუბნება, თქვენთვისვე სჯობს, არჩევნებზე მხარი დაგვიჭიროთ, თორემ ხელისუფლებაში დავბრუნდებით და მერე დაგიდგებათ შავი დღეო. როგორც ჩანს, გუნავას იმედი აქვს, რომ განსაკუთრებით სამეგრელოში აპრობირებული — დაშინების მეთოდი გაჭრის და საჯაროდ ამიტომაც აცხადებს — **„დარწმუნებული ვარ, სამეგრელოში ნაციონალური მოძრაობა მოიგებს ამ არჩევნებს. ამის საფუძველს გვაძლევს ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა, რომელსაც ახსოვს ჩვენ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები“.**

სამეგრელოში მართლაც ახსოვთ ნაციონალური მოძრაობის მიერ გაკეთებული საქმეები, ოღონდ ადგილობრივები მათ ეპითეტად, „კეთილის“ ნაცვლად „საშინელს“ იყენებენ. სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში, ზუგდიდელი კანდიდატის, თენგიზ გუნავას ბეგრაუნდიც კარგად ახსოვთ. განსაკუთრებით, მისი სამხარეო „პოლიცმეიტერობის“ ეპოქისდროინდელი.

2012 წელს, თენგიზ გუნავა ახალმა ხელისუფლებამ ნარკომანობის ბრალდებით დააპატიმრა. მოგვიანებით ითქვა, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს. გუნავას ნარკომანობის ლოგიკური ჯაჭვი მის ცოლისძმასთან გადის, რომელსაც სამეგრელოში ნარკომანის იარლიყი დიდი ხანია მიაკერეს. მეტიც,

„ვერსიის“ გადამოწმებული ინფორმაციით, ის არც ისე დიდი ხნის წინ, „კრაკადილის“ მოხმარების გამო, სამართალდამცავებმა დააპატიმრეს. იგი პოლიციამ თავისი სახლიდან აიყვანა, სადაც გუნავაა ჩასიძებული. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ — ცოლის ძმის თუნდაც დადასტურებული ნარკომანობა, არ ნიშნავს, რომ თავად გუნავაც არაა მწყრალად „წამალთან“. მიუხედავად იმისა, ერთ სახლში ცხოვრობენ თუ არა. გუნავას ნარკომანობა არ დაუმტკიცდა და ესეც აუცილებლად უნდა ითქვას.

სამაგიეროდ, ისაა ფაქტი, რომ ზემოხსენებული შემზარავი შემთხვევები სწორედ მაშინ ხდებოდა სამეგრელოში, როცა გუნავა პოლიციის უფროსი იყო. რა მნიშვნელობა აქვს, თავად გასცემდა თუ არა ბრძანებებს, პირადად მონაწილეობდა თუ არა ადამიანების წამება-დახოცვაში თუ პილატეს მსგავსად „ხელები დაიბანა“ და არ ჩაერია საქმეში? ხომ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს ხდებოდა? ვინმე საღადმოაზროვნე იტყვის, რომ გუნავას მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება გახმაურებული „კასრების საქმეზე“? — პოლიციამ სამეგრელოში სამალავი აღმოაჩინა, მასში ნაპოვნ დისკებზე კი, მამაკაცს, ჩვენების გამოძალვის მიზნით, აუპატიურებენ. ეს კადრებიც იმ პერიოდისაა, სამხარეო პოლიციის უფროსი ნაციონალების კანდიდატი რომ იყო.

თუ თავად გუნავას შუბლის ძარღვი ბოლომდე არ გასწყვეტია, ვერ იტყვის, სამხარეო პოლიციის უფროსი კი ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, რა ხდებოდა სამეგრელოშიო. თუ ამის გამბედაობა ეყოფა, მით უარესი მისთვის — რატომ უნდა ჰქონდეს გამგებლობის ამბიცია ადამიანს, რომელსაც ისიც კი ვერ გაუკონტროლებია, რას აკეთებენ მისი ხელქვეითები? ან ნაციონალურ მოძრაობას რა მორალური უფლება აქვს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლად ასეთი კანდიდატი შემოგვთავაზოს? მაგრამ, როცა პოლიტიკური შანსების გამოყენებასა და ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომის დაუოკებელ ნაციონალურ სურვილზე ვსაუბრობთ, გუნავას გაკანდიდატება აღარც უნდა გაგვიკვირდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა ყველას ახსოვს, „ოცნების“ ხელისუფლებისგან „დაჩაგრული“ და ბრალდამძიმებული გუნავა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც საპრეზიდენტო ვადის ბოლო წუთებს ითვლიდა, როგორ შეიწყალა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორადაც წარადგინა და 2008 წლის ომის გმირადაც გამოაცხადა.

„კარგად მახსოვს, 2008 წელს, როცა ფოთში ჩავედი და რუსები ჩემს დასაკავებლად გამოემართნენ, იგი თავისი მცირე შენაერთით გადაეღობა და დიდი რუსული შენაერთი ჰყავდა დაკავებული, ვიდრე არ დავამთავრე გამოსვლა. ისინი ეუბნებოდნენ, რომ გაივლიდნენ, თენგიზ გუნავა კი პასუხობდა — გაიარეთ, მაგრამ იქნება სროლა და შეტაკება... გუნავა არის ადამიანი, რომლის დროსაც სამეგრელოში კრიმინალთან ბრძოლის საქმეში სრული წესრიგი დამყარდა. ამოიძირკვა ნარკოტიკები, წვრილმანი ქურდობა, ყაჩაღობა თუ სხვა დანაშაული, კონტრაბანდა. მე მას ასევე ვიცნობ, როგორც 2008 წლის ომის ერთ-ერთ მთავარ გმირს“.

ეს კიდევ ერთი პრობლემა და მორიგი ქართული სირცხვილია, გმირად ასე „უპრაგონოდ“ რომ ვრაცხავთ ადამიანებს და ყველაფრისთვის თავის სახელის დარქმევა გვიჭირს. სამეგრელოში მიაჩნიათ, რომ, ეს უკანასკნელი ვერც ახალმა ხელისუფლებამ ისწავლა — ზუგდიდელები განაწყენებულები არიან, ახალაიების დაუსჯელობის სინდრომით და იმით, რომ გუნავასა და ნაციონალებს სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ მისცა გაყოყოჩების საშუალება. ზუგდიდში უკვე ვრცელდება ხმები, რომ სასამართლო მალე ბაჩო ახალაიასაც გაათავისუფლებს, დათასა და როლანდის ამბავი ისედაც ცნობილია, გარდა ამისა, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში „იმალებიან“ ახალაიას კლანის საზოგადოებისთვის არცთუ ცნობილი წევრები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ათობით გაუპატიურებულ ზუგდიდელ მამაკაცს რაღაც ჩანაწერების „გაბაზრებით“ ემუქრებიან. სამეგრელოში ნაციონალებისა და „ოცნების“ კოჰაბიტაციაზეც საუბრობენ და ამბობენ, რომ ხელისუფლება თუ ბობოლა ჯალათებს არ დასჯის, რეგიონში დაბრუნდებიან და უარესს დამართებენ. რამდენად რეალურია ეს მოარული ხმები, არავინ იცის, თუმცა არჩევნების წინ მათი გავრცელება ნაციონალების წისქვილზე რომ ასხამს წყალს, ფაქტია.

პაატა ქარდავას საქმე გახსნილია. გამოავლენს და დასჯის თუ არა ხელისუფლება სამეგრელოში გაუჩინარებული, ნაწამები, შეურაცხყოფილი სხვა ადამიანების საქმეებში დამნაშავეებს, დრო გვიჩვენებს. პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გვპირდება, ყველა საქმეს გავხსნით და ყველა დამნაშავე სამაგალითოდ დაისჯებაო. იმასაც დრო გვიჩვენებს, მოხვდება თუ არა დამნაშავეთა სიაში ოფიციალურად თენგიზ გუნავა. მანამდე კი, მოახლოებული არჩევნების ციებ-ცხელების ფონზე, ადგილობრივებს ერთადერთის იმედი აქვთ — კარგი პოლიტიკური მეხსიერების.

გიგი უგულავას ქვისლის ნაციონალური ბიზნესინტერესები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი დააკავეს. საგამოძიებო სამსახურმა ის სქემა გაშიფრა, რომლითაც გიორგი ღონიაშვილი, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის საშუალებით, წინასაარჩევნოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აფინანსებდა.

ვინ არის გიორგი ღონიაშვილი და რა კავშირი აქვს „თბილისის განვითარების ფონდთან“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, გიორგი ღონიაშვილისთვის ცნობილი იყო, რომ შპს „გუდაური სქაი რესორტის“ მფლობელს, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ჰქონდა კომპანია „ბრუკტრეიდი“. ღონიაშვილმა შპს-ს მფლობელს შესთავაზა, წინასაარჩევნოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დახმარებოდა, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. გამოძიების მასალების მიხედვით, დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საკუთრებაში არსებული ოფშორული კომპანია „ექსიმუს ჰოლდინგიდან“, საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ, კომპანია „ბრუკტრეიდში“ 760 000 აშშ დოლარი გადაირიცხა. ორ ოფშორულ კომპანიას შორის კი ფიქტიური ხელშეკრულება 1 500 000 აშშ დოლარის ღირებულების საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმდა. 760 000 აშშ დოლარი „ბრუკტრეიდიდან“ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის ანგარიშზე ჩაირიცხა, რომელიც მოგვიანებით, ღონიაშვილის ხელში აღმოჩნდა, რათა ნაციონალური მოძრაობისთვის გადაეცა.

გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ 2011 წლის 12 ივლისს, თბილისის მერიასა და შპს „გუდაური სქაი რესორტს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიას სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, თბილისის ზღვის მიმდებარედ, 200 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. საპრივატიზაციო პირობად კი 5 000 000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის 5 წლის ვადაში განხორციელება განესაზღვრა. იმის გამო, რომ საწარმოს მიერ ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები ვერ შესრულდა, თბილისის მერიამ პირგასამტეხლოს სახით, შპს „გუდაური სქაი რესორტს“ 193 500 აშშ დოლარის ჯარიმა დააკისრა. ამის შემდეგ, გიორგი ღონიაშვილმა „გუდაური სქაი რესორტის“ ერთ-ერთ მფლობელს შესთავაზა, რომ 50 000 ლარის სანაცვლოდ, ქვისლის, თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას დახმარებით, მერიას საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიღებულ დადგენილებას გააუქმებინებდა. თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის დადგენილებით, რომელსაც ხელს თბილისის მერის მოადგილე, ირაკლი აბესაძე აწერს, შპს „გუდაური სქაი რესორტი“ 193 500 აშშ დოლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან მართლაც გათავისუფლდა. სანაცვლოდ, ღონიაშვილმა „გუდაური სქაი რესორტის“ ხელმძღვანელისგან შეპირებული თანხა — 50 000 ლარი აიღო.

თბილისის მერიამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სიცრუესა და ფაქტების დამახინჯებაში დაადანაშაულა. განცხადებაში, რომელიც მერიამ 4 ივნისს გაავრცელა, ნათქვამია: **„2012 წლის 2 ნოემბერს, თბილისის მერიის სსიპ — ქონების მართვის სააგენტოს შპს „გუდაური სქაი რესორტის“ დირექტორმა მიმართა, რომლითაც 2011 წლის 12 ივლისის პირდაპირი მიყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 18 თვის განმავლობაში განხორციელების ვალდებულებისგან გათავისუფლება მოითხოვა.**

დოკუმენტაცია შემდგომი სამართლებრივი პროცედურების გავლის მიზნით, თბილისის მთავრობამ, საქართველოს ცენტრალური მთავრობის კანცელარიაში, 2012 წლის 28 დეკემბერს, ანუ ინვესტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე გადააგზავნა. საქართველოს მთავრობამ, იქ არსებული ბიუროკრატიული თუ სხვა ხელოვნური შეფერხებების გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, საკითხის უწყებაში შესვლიდან 5 თვის შემდეგ, 2013 წლის 14 ივნისს მიიღო. ცვლილების თანახმად, კომპანია გათავისუფლდა 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 18 თვის განმავლობაში განხორციელების ვალდებულებისგან. თუმცა აღნიშნული ცვლილების შეტანამდე ინვესტორს, რომელმაც კეთილსინდისიერად, ვადის დარღვევამდე მოითხოვა ცვლილების განხორციელება, პირგასამტეხლო — 193 500 აშშ დოლარის ოდენობით დაერიცხა. სწორედ საქართველოს ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებამ, გაეზიარებინა ინვესტორის თხოვნა და თბილისის მთავრობის შუამდგომლობა, თბილისის მთავრობას საშუალება მისცა, მიეღო გადაწყვეტილება, რაც ინვესტორს დაკისრებული ჯარიმისგან გაათავისუფლებდა“.

თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიგი უგულავამ, გიორგი ღონიაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, სპეციალური ბრიფინგი გამართა. უგულავას თქმით, ღონიაშვილს არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებასთან, არამედ ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირი არ აქვს და პოლიტიკისგან შორს დგას. მისივე განცხადებით, ამ საქმესთან დავით კეზერაშვილიც ხელოვნურად დააკავშირეს.

4 ივნისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, **ირაკლი ღარიბაშვილი**, „ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ქვისლის, გიორგი ღონიაშვილის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა. მისი თქმით, ის დანაშაულებრივი სქემა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გაშიფრა, ყოვლად მიუღებელია: **„ჩვენ ვნახეთ დანაშაულებრივი სქემა, რომლითაც კეზერაშვილის ოფშორული ფირმიდან თანხები ირიცხებოდა და ფული თეთრდებოდა, რაც შემდგომში, ნაციონალურ მოძრაობას ხმარდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია და პოლიტიკურად მოტივირებული არ არის. ეს ჩვეულებრივი დანაშაულია, რომელსაც გამოვიძიებთ და ყველა ძალიან მკაცრად დაისჯება“.**

ვინ არის გიორგი ღონიაშვილი და რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობასთან? „ვერსიაში“ ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა, რომელიც თბილისის მაშინდელი მერის, გიგი უგულავასა და მასთან დაახლოებული პირების ბიზნესინტერესებს ეხებოდა. მათ შორის, უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილიც ფიგურირებდა, რომელიც წლების წინ პრეზიდენტ სააკაშვილის დაცვაში მუშაობდა.

მაგალითად, დედაქალაქის მერიამ „თბილისის განვითარების ფონდს“ უძრავი ქონება გადასცა. კერძოდ, პუშკინის ქუჩასა და აღმაშენებლის მოედანზე მდებარე შენობები, ასევე კოტეჯი დაბა წყნეთში. მერიისგან ნაჩუქარი უძრავი ქონება ფონდმა სხვადასხვა პირზე გაყიდა. აღმაშენებლის 150-ში მდებარე ისტორიული შენობა (200 კვადრატული მეტრი), „თბილისის განვითარების ფონდმა, 2011 წლის 19 სექტემბერს, კომპანია „რეალ ინვესტს“ 200 000 აშშ დოლარად, სამთვიანი უპროცენტო განვადებით მიჰყიდა. „რეალ ინვესტის“ დამფუძნებელია ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია „ოლდინგტონ ინვესტ კორპი“, რომლის წარმომადგენელი საქართველოში, გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილია. მარჯანიშვილის მოედანზე უგულავას ქვისლი კიდევ ერთ შენობას ფლობს, ესაა აღმაშენებლის 103-ში მდებარე, ასევე ისტორიული შენობა, რომელიც გერმანელმა არქიტექტორმა გოტიკურ სტილში ააშენა. სხვადასხვა დროს, ამ შენობაში განთავსებული იყო, როგორც სასტუმრო, ასევე — საგარეო საქმეთა სამინისტრო და კონტროლის პალატა. ახლა კი, „თბილისის განვითარების“ ფონდმა“ ეს ისტორიული შენობა, 510 კვადრატული მეტრი, „ვეტსელ პლაზას“ გადასცა. ამ კომპანიის დამფუძნებელიც გიორგი ღონიაშვილია.

თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული, დაბა გუდაურის რეაბილიტაციის პროექტი გიგი უგულავას სახელს უკავშირდება. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გუდაურში მშენებარე სასტუმროები, არაოფიციალურად უგულავას მფლობელობაშია. მეტიც, „გუდაურის განვითარების ფონდიდან“, თანხები არამიზნობრივად იხარჯება, რადგან პროექტის ყველა ტენდერი უგულავას ნათესავ-მეგობრების კომპანიებმა მოიგეს, რომლებიც ტენდერში გამარჯვების საფასურად, გიგი უგულავას 20%-ს უხდიდნენ!

ქართულ-ყაზახური კომპანია „ტიფლის დეველოპმენტი“, „თბილისის განვითარების ფონდის“ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობდა, მათ შორის, დავით აღმაშენებლის რეაბილიტაციის პროექტშიც. ვაკის პარკის ტერიტორიაზე, რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილზე, 22 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციით, სასტუმროს მშენებლობასაც, „ტიფლის დეველოპმენტი“ ახორციელებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ტიფლის დეველოპმენტის“ წარმომადგენლებს, აქტიური კავშირი აქვთ თბილისის მერის, გიგი უგულავას ქვისლთან, გიორგი ღონიაშვილთან.

არც ისე დიდი ხნის წინ, შუაგულ ვაკეში, „ტიფლის დეველოპმენტის“ ყოფილი მფლობელი, ნოშრევან ნამორაძე ბიზნესმენ დავით კოდუას სასტიკად გაუსწორდა. ფიზიკური დაპირსპირების დეტალებზე „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, მაგრამ შეგახსენებთ, რომ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, დავით კოდუას დახმარებით, ნოშრევან ნამორაძეს „ტიფლის დეველოპმენტში“ წილი იმიტომ დაათმობინეს, რომ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს ეს კომპანია საკუთარი მიზნებისთვის, ანუ სხვადასხვა სამშენებლო პროექტებზე, დიდი ოდენობით თანხების „ატკატისთვის“ გამოეყენებინათ. ამის ნათელი მაგალითი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობაა, რასაც თბილისელები დიდი ხანია აპროტესტებენ და რის გამოც, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას თანხმობით, ორიოდე წლის წინ, ამ ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარი გაანადგურეს!

ვერსიანიუსი

შსს-მ გურიაში იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული გივი ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ჩოხატაურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჯვარცმაში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას არარეგისტრირებული გლუვლულიანი სანადირო თოფი, ხოლო ეზოს ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ყუმბარმტყორცნი და ყუმბარები: „ერ-პე-გე 7“-ის ტიპის 1 ცალი მრავალჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, „ერ-პე-გე 22“-ის ტიპის 1 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ერთჯერადი ყუმბარმტყორცნი, „ერ-პე-გე 7“-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მრავალჯერადი ყუმბარმტყორცნის „ო-ეფ-ჯე“-ს ტიპის 1 გასროლა და „ერ-პე-გე 7“-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მრავალჯერადი ყუმბარმტყორცნის „პე-გე-7“-ის ტიპის 1 გასროლა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში, კაიროს ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ადმინისტრატორი – 1961 წელს დაბადებული ნატალია მ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდა.

სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

თურქეთში ქართულ რესტავრირებულ ძეგლებს ისტორიული ფუნქცია აღუდგება

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაციის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფო პოლიტიკისთვის. ამ საკითხზე, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად დაასახელა: **„კულტურის სამინისტრომ ტაო-კლარჯეთში წარმატებული პროექტი დაიწყო. 5 ექსპედიციის შედეგად იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. თურქული მხარის დაპირებისამებრ, რესტავრირებულ ქართულ ძეგლებს ისტორიული ფუნქცია აღუდგება“.**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას განმარტებით კი: **„2014 წლის აპრილში ქალაქ ანკარაში ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გეგმა დაისახა. თურქული მხარე დაგვთანხმდა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პასპორტიზაცია აუცილებლად ქართველ სპეციალისტებთან ერთად განხორციელდება ისევე, როგორც ოსმალური ძეგლებისა საქართველოში. უკვე არსებობს შეთანხმება და იშხნის რესტავრაციისას დაშვებული ხარვეზები ქართველი სპეციალისტების შენიშვნების გათვალისწინებით აღმოიფხვრება. ეს პროცესი წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ამავე დროს, ქართული მხარე გაითვალისწინებს თურქი კოლეგების მოსაზრებებს აჰმედიას მეჩეთთან (ახალციხის რაბათი) დაკავშირებით. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს განსახილველად გადაეცემა ოშკის ტაძრის რესტავრაციის პროექტი. თურქული მხარე შესაძლებლად მიიჩნევს, იშხნის ეკლესიის ფრესკების რესტავრაცია ქართველმა სპეციალისტებმა განახორციელონ. სასიხარულოა, რომ თურქული მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, მოლაპარაკებები დაიწყოს ქართული რესტავრირებული ძეგლებისთვის ისტორიული, რელიგიური ფუნქციის აღსადგენად. თურქეთის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ამის უფლებას უკვე იძლევა“.**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი 2014 წლის აპრილში ქალაქ ანკარაში თურქულ მხარესთან ოფიციალური მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით უახლეს ინფორმაციას გვაწვდის: **„2013 წლიდან მოყოლებული, თურქეთში 5 წარმატებული ექსპედიცია მოეწყო და ქართველმა სპეციალისტებმა თურქულ მხარეს კონკრეტული რეკომენდაციები წარუდგინეს. რეკომენდაციები ეხებოდა იშხანში ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს, უხეშად დამუშავებულ ინტერიერსა და ფასადს, კამარებს, იატაკის უნიკალურ მოზაიკას და სხვა დეტალებს, რომლის რესტავრაციაც სპეციალისტების მეთვალყურეობის გარეშე მიმდინარეობდა. დღეს უკვე ქართული მხარის რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებული და შესრულებულია. ამ შედეგიან თანამშრომლობაში მნიშვნელოვანი როლი თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის, ომერ ჩელიქისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას შეხვედრამ შეასრულა. თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტების, ასევე ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრების შეხვედრების შემდეგ, ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავედით. ახლახან ვიმყოფებოდით თურქეთში, სადაც თურქეთის ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელს შევხვდით. თურქულმა მხარემ თავად შემოგვთავაზა და უკვე შევთანხმდით, რომ იშხანში კედლის მხატვრობაზე მუშაობისას ქართველი სპეციალისტების ჩართვა აუცილებელია. ასევე აუცილებელია ოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისთანავე ქართველი არქეოლოგების მონაწილეობა.**

დაგეგმილია თურქეთის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი საქართველოში. თბილისში ჩამოვა ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელი და ერთობლივად დავიწყებთ ხელშეკრულებაზე მუშაობას. ფაქტია, თურქულმა მხარემ ჩვენი სპეციალისტების რეკომენდაციების 90% უკვე გაითვალისწინა და შეასრულა, სიცრუეა, როცა ამბობენ, თითქოს, კონკრეტული ქართული ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია და ოშკში ქართველებს არ უშვებენ“.

sazogadoeba.ge

საქართველოში ყავის პირველი ინდუსტრიული საწარმო გაიხსნა

სპეციალურად მედიის წარმომადგენლებისთვის, საქართველოში ყავის პირველი ინდუსტრიული საწარმო Cherie-ის პრეზენტაცია გაიმართა. მედიატურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა საწარმოს ტერიტორია და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია დაათვალიერეს. მედიის წარმომადგენლები, საწარმოს მუშაობის პროცესს გაეცნენ და ახალი ქართული ყავა დააგემოვნეს.

კომპანია Cherie 2012 წლის 21 მარტს დაარსდა. მისი საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ნედლი, მწვანე ყავის იმპორტი, მისი შემდგომი გადამუშავება (გაწმენდა, მოხალვა, დაფქვა, დაფასოება) და რეალიზაცია. კომპანიის საკუთრებაშია უახლესი, ყავის ინდუსტრიაში საუკეთესოდ აღიარებული გერმანული Probat-Werke-ს დანადგარებით აღჭურვილი საწარმო. მწვანე მარცვლის იმპორტი ევროპიდან ხორციელდება, თუმცა მისი თავდაპირველი მომწოდებელი ქვეყნებია ბრაზილია, კოლუმბია და სხვა.

ღონისძიებას, მიწვეულ სტუმრებთანერთად, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეც ესწრებოდა. **ქეთევან ბოჭორიშვილი** ახალი ინდუსტრიული საწარმოს გახსნას მიესალმა და განაცხადა: **„ძალიან გვიხარია, რომ ორწლიანი მუშაობის შედეგად, საქართველოში ასეთი მაღალი დონის საწარმო გაიხსნა. ვფიქრობთ, მითი, თითქოს საქართველოში კარგი ყავის დამზადება არ შეიძლება, „ჩერიმ“ დაამსხვრია“.**

„ჩვენი კომპანია პირველია, რომელმაც საქართველოში ინდუსტრიული ყავის წარმოება დაიწყო და ქართველ მომხმარებელს უნიკალური ტექნოლოგიით მომზადებული, გამორჩეულად გემრიელი 100%-ით ნატურალური ყავა შესთავაზა. სამწუხაროდ, საქართველოში მასიურად უხარისხო ყავა იყიდება. აქედან გაჩნდა იდეა, გვსურდა მომხმარებელს დაეგემოვნებინა ნამდვილი ყავა, რომელიც მათი გემოვნების მიხედვით შეიქმნა, ამაში მდგომაროებს Cherie-ს კონკურენტული უპირატესობაც. ამასთანავე, ჩვენს შეფუთვას აქვს სპეციალური სარქველი, რომლის საშუალებითაც გამოიყოფა ნახშირორჟანგი, შეფუთვაში კი ვერ აღწევს ჟანგბადი, რაც დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს ყავას გემოს და თავდაპირველ არომატს. პროდუქცია გადის ყველა საჭირო შემოწმებას და სერტიფიცირებულია, როგორც მომწოდებლის, ისე ადგილზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. დღეს Cherie ყავის ყველაზე დიდი მწარმოებელია ქვეყანაში. საწარმოს სრულად დატვირთვის შემთხვევაში, ბაზრის 60%-ის დაკავებას შევძლებთ. აღსანიშნავია ის, რომ საუკეთესო ყავები მზადდება იმ ქვეყნებში, სადაც ყავა არ მოდის. იმისთვის, რომ უმაღლესი ხარისხის ყავა ვაწარმოოთ არ არის აუცილებელი, რომ ის საქართველოში მოდიოდეს, ამისთვის საჭიროა ის ტექნოლოგიური ხაზი, რაც ჩვენი კომპანიის საკუთრებაშია“, — განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი ღომთათიძემ**.

ამჟამად Cherie ორი დასახელების ნალექიან ყავას აწარმოებს: „ჩერი კლასიკი“, რომელიც წარმოადგენს 100%-ით არაბიკას ჯიშის ყავების ნაზავს დახვეწილი გემოთი და „ჩერი ორიგინალი“, რომელიც აზიური რობუსტასა და სამხრეთ ამერიკული არაბიკას ჯიშის ყავების ნაზავია ძლიერი გემოთი. პროდუქტი გათვლილია საშუალო და მაღალ სამომხმარებლო სეგმენტზე. „ჩერი კლასიკის“ 100- გრამიანი შეფუთვის საშუალო ფასია 3.50, ლარი „ჩერი“ ორიგინალი კი 2.50 ლარი ღირს.

სამომავლოდ, დაგეგმილია პროდუქციის ხაზის გაფართოება და 12 დასახელების ყავის სახეობის გამოშვება. კომპანიაში პროდუქციის ექსპორტზე გატანასაც გეგმავენ.

ვერსიანიუსი

პრემიერ-მინისტრმა სოფელ გეურარხის სასათბურე მეურნეობა დაათვალიერა

ირაკლი ღარიბაშვილი რეგიონებში ვიზიტს განაგრძობს. მთავრობის მეთაური ამჯერად ქვემო ქართლს, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტს ეწვია და სოფელ გეურარხის სასათბურე მეურნეობა დაათვალიერა. პრემიერს, სათბურის შესახებ მეურნეობის მფლობელი აბას მუსაევი ესაუბრა, რომლის თქმით, სათბური 1,7 ჰექტარ მიწის ფართობზეა აშენებული და მისი წარმოება წელიწადში 300-400 ტონა ბოსტნეულია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის ხელშეწყობის მიზნით მთავრობამ არაერთი პროექტი შეიმუშავა. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ გეურარხში სასათბურე მეურნეობა ინდმეწარმე აბას მუსაევმა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიღებული 250 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხის მეშვეობით მოაწყო. კრედიტის 13%-იანი საპროცენტო განაკვეთიდან 12%-ს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ფარავს, ხოლო მეწარმე მხოლოდ წლიურ 1%-ს იხდის.

ირაკლი ღარიბაშვილი სოფელ ყულარის მოსახლეობასაც შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო. ადგილობრივებმა პრემიერს შიდა გზისა და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება სთხოვეს. მთავრობის მეთაური მათ დახმარებას და პრობლემების დროულ აღმოფხვრას დაჰპირდა. მან ასევე პირობა მისცა სოფლის პედაგოგებს, რომ სახელფასო დანამატების გაცემის შეფერხების მიზეზებში გაერკვევა.

„პირველი“

სუდოკუ ბანა

ადვილი

						1		
				9	7			4
			8	6	5	7		
	3	6		2		4		7
7								9
2		8		3		5	6	
		5	2	8	3			
9			5	1				
		3						

სტანდარტი

	1	7	6				3	
8					1			
5		3	9					
4					7	6		
	2						9	
		9	4					7
					2	9		1
			3					5
	5				6	4	2	

რთული

1			8			9		4
			4	2			7	
		8				3		
			6				3	
	9	4				6	1	
	5				7			
		9				2		
	3			1	9			
2		5			4			3

ექსპერტი

		7	4		1			6
				5		1		
	9						5	
9	5			2			8	
			9		6			
	2			4			7	9
	4						1	
		9		8				
6			5		4	2		

უცენზურო სიტყვების სასაუბრო ტურისტებისთვის

შვებულების სეზონის წინ ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ სასაუბრო ლექსიკონის სერია გამოუშვა, რომელიც უცენზურო გამონათქვამებს შეიცავს სხვადასხვა ენაზე. ამ უჩვეულო „გზამკვლევში“ მოყვანილია არანორმატიული ლექსიკა ფრანგული, იტალიური, ესპანური და გერმანული ენებისთვის, რომელსაც ინგლისურენოვანი ტურისტები უცხოეთში მოგზაურობისას გამოიყენებენ. გამოცემის ავტორები პირობას დებენ, რომ მათი ნამუშევარი მოგზაურებს საშუალებას მისცემს, სადაც უნდა იყვნენ, ადგილობრივებივით შეიგინონ, დაიფიცონ და სხვა მსგავსი გამონათქვამებით „თავი მოიწონონ“. წიგნებში არა მხოლოდ მოყვანილია უცენზურო სიტყვები, არამედ მითითებულია კიდეც, რა ტონითა და რა ვითარებაში უნდა გამოიყენონ. ექსპერტები ამგვარ სასაუბროს ჯერჯერობით ეჭვის თვალით უყურებენ, გამოცემის ერთადერთ ნაკლად კი იმას მიიჩნევენ, რომ „გინების“ ნორმები ძალიან სწრაფად იცვლება და წიგნი მალე მოძველდება.

„ჭკვიანი“ ავტო Google-სგან

ამერიკულმა კორპორაციამ Google თვითმართვადი ავტომობილის პროტოტიპი წარმოადგინა, რომელშიც საჭე და პედლები არ არის. როგორც კომპანიის დამფუძნებელი სერგეი ბრინი აცხადებს, მსგავსი 100 მანქანის გამოშვებას აპირებენ — ახალი ავტოს სიჩქარე, უსაფრთხოების მიზნით, ჯერჯერობით 40 კილომეტრ/საათით განისაზღვრება, თუმცა მომავალში, კორპორაციის ინჟინრები მის გაზრდას 160 კმ/სთ-მდე აპირებენ. ახალი კონცეპტი კომპიუტერით იმართება, საჭე და პედლები კი ღილაკებმა — „წინ“ და „სდექ“ შეცვალა. ავტომობილში არის სენსორული ნავიგაცია, რომელიც მასთან ახლოს მდებარე ობიექტებს აფიქსირებს. თვითმართვადი ავტოს ტესტირება ამ ზაფხულს იგეგმება.

ყველაზე ცუდი ბოსი მსოფლიოში



ასეთი უფროსი Amazon.com-ის მეთაურია, — ამის თაობაზე პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა შერან ბაროუმ განაცხადა ბერლინში მიმდინარე მესამე მსოფლიო კონგრესზე. გაერთიანებამ, რომელიც 180 მილიონ მშრომელს აერთიანებს, პროფკავშირების წევრებს შორის პირველი გამოკითხვა ჩაატარა და ცხრა ყველაზე ცუდი უფროსი გამოავლინა ისეთი კრიტერიუმის გათვალისწინებით, როგორიც მშრომელთა უფლებების დარღვევაა. ამასთან, ითვალისწინებდნენ უფროსობის სხვა „დამსახურებებსაც“ — გადასახადებისთვის თავის არიდებას, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას... საბოლოო სიაში ისეთი ცნობილი კომპანიების მეთაურები შევიდნენ, როგორიცაა მედიაიმპერია News Corp- ის ხელმძღვანელი რუპერტ მერდოკი, Samsung Group-ის ხელმძღვანელი ლი გონ ხი და Walmart Stores-ის პრეზიდენტი დუგლას მაკმილანი. ხმების მიხედვით კი „გამარჯვებული“ ჯეფ ბეზოსი გახდა, რომელიც Amazon.com-ის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია. იგი დამსაქმებლის არაადამიანობის განსახიერებაა, — აცხადებს ბაროუ. Amazon.com-ის საწყობის მუშები დღის განმავლობაში, დაახლოებით, 24 კილომეტრს გადიან, სასწრაფო დახმარების მანქანებს კი რეგულარულად გაჰყავთ გულშეწუხებული თანამშრომლები სამუშაო ადგილიდან. კომპანიის ლოგისტიკური ცენტრების თანამშრომლები იძულებულნი არიან, ელექტრონული აპარატები ატარონ, რომელიც მათ ყოველ მოძრაობას აფიქსირებს. კომპანიაში არ არის დადგენილი დღის განაწესი შესვენებისა და მუშაობის ტემპის თაობაზე, გამეფებულია დაშინებისა და მუქარის კულტურა. თანამშრომლებს საყვედურს უცხადებენ, ერთმანეთთან თუ დაილაპარაკებენ ან მუშაობის პროცესში ცოტას შეისვენებენ, — ასე აღწერს ბეზოსის თანამშრომლების შრომის პირობებს ბაროუ. აღსანიშნავია, რომ Amazon.com ერთ-ერთი უმსხვილესი ონლაინრიტეილერია, რომელიც პროდუქციას ინტერნეტის მეშვეობით ყიდის. გარდა აშშ-ში, კომპანია მუშაობს კანადაში, ჩინეთში, ბრაზილიაში, იაპონიასა და ევროპის ქვეყნებში.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	2	6	4	1	5	3	9	7
9	1	5	7	2	3	4	8	6
7	4	3	6	9	8	1	5	2
1	3	2	9	7	6	8	4	5
5	9	8	3	4	2	7	6	1
6	7	4	5	8	1	2	3	9
4	8	7	2	6	9	5	1	3
3	6	1	8	5	7	9	2	4
2	5	9	1	3	4	6	7	8

სტანდარტი

8	7	1	4	9	5	6	3	2
9	6	3	1	7	2	8	4	5
5	2	4	3	8	6	7	1	9
4	8	2	9	3	1	5	6	7
3	5	6	2	4	7	1	9	8
1	9	7	5	6	8	4	2	3
6	4	9	8	5	3	2	7	1
2	3	8	7	1	4	9	5	6
7	1	5	6	2	9	3	8	4

ადვილი

8	3	7	6	4	2	5	9	1
6	4	5	3	1	9	8	2	7
2	1	9	8	7	5	6	4	3
5	2	6	7	8	4	3	1	9
7	9	1	5	6	3	2	8	4
4	8	3	2	9	1	7	6	5
1	7	8	9	3	6	4	5	2
3	5	4	1	2	8	9	7	6
9	6	2	4	5	7	1	3	8

სტანდარტი

7	3	4	2	1	6	8	5	9
9	2	8	7	5	4	6	3	1
6	5	1	8	3	9	4	2	7
2	1	9	6	8	7	5	4	3
5	4	7	1	2	3	9	8	6
8	6	3	9	4	5	7	1	2
4	9	2	5	7	1	3	6	8
3	8	6	4	9	2	1	7	5
1	7	5	3	6	8	2	9	4

რთული

8	4	7	3	6	5	9	2	1
3	2	5	9	1	4	8	7	6
6	1	9	2	8	7	5	3	4
7	9	6	1	5	3	2	4	8
5	8	4	7	2	9	1	6	3
1	3	2	8	4	6	7	9	5
4	7	8	5	3	2	6	1	9
2	6	1	4	9	8	3	5	7
9	5	3	6	7	1	4	8	2

ექსპერტი

5	3	8	7	6	4	2	1	9
2	7	1	3	9	8	6	5	4
4	6	9	5	1	2	3	8	7
3	8	2	6	7	5	4	9	1
1	5	6	4	2	9	8	7	3
9	4	7	1	8	3	5	6	2
8	2	5	9	4	1	7	3	6
6	1	4	8	3	7	9	2	5
7	9	3	2	5	6	1	4	8

რთული

2	7	9	3	6	1	4	5	8
5	4	1	2	9	8	7	3	6
8	6	3	7	5	4	2	1	9
1	9	8	6	7	3	5	4	2
4	5	7	1	2	9	8	6	3
3	2	6	8	4	5	1	9	7
7	3	2	5	1	6	9	8	4
9	8	5	4	3	7	6	2	1
6	1	4	9	8	2	3	7	5

ექსპერტი

9	1	6	2	8	5	4	3	7
2	5	7	1	4	3	6	9	8
8	3	4	9	7	6	5	2	1
1	6	5	3	2	9	8	7	4
7	8	3	4	5	1	2	6	9
4	2	9	8	6	7	3	1	5
6	9	8	7	3	4	1	5	2
5	7	2	6	1	8	9	4	3
3	4	1	5	9	2	7	8	6

მე-10 გვერდი: 1. ლინოლეუმი; 2. ანილინი; 3. ლაფსუსი; 4. ნერსე; 5. ლაიკა; 6. ნირვანა; 7. ლაზანია; 8. ნეტო; 9. ოფორტი; 10. წამწამი; 11. რიგვედა; 12. როზეტი; 13. ალფონსი; 14. აბატისა; 15. უწერა; 16. ანძა; 17. ასი; 18. აგამია; 19. ტომ; 20. ბელი; 21. ოჯალეში; 22. ლობიო; 23. შარშან; 24. რუბენსი; 25. ფატა; 26. ოდრი ჰეპბერნი; 27. ჰერმან; 28. ტაო; 29. მოდა; 30. იდეა; 31. ჰასი; 32. ირაო; 33. როსტბიფი; 34. სესკ; 35. ადონაი; 36. კეა; 37. რევანში; 38. არაბიკა; 39. ინია; 40. არე; 41. ეოსი; 42. ადაპტაცია; 43. აგორა; 44. ია; 45. ჰაინე; 46. ნოე; 47. იონი; 48. დეკანი; 49. კითარა; 50. გერუსია; 51. ნარმა; 52. კაფკა; 53. ვერფი; 54. ოსტი; 55. ბაო; 56. აბსენტი; 57. ალუ; 58. აგენორი; 59. ანაპა; 60. „პსპ“; 61. ბრიტენი; 62. ფოსტა; 63. ეტი; 64. რელე; 65. ელე; 66. იასაყი; 67. მექა; 68. სტარტი; 69. ფცა; 70. რაი; 71. ჰობოი; 72. კოტ; 73. ალაფი; 74. სოფა; 75. ისარა; 76. აბა; 77. მაინ; 78. იობი; 79. „რიო“; 80. ნოინი; 81. კასანდრა; 82. ეპარქია; 83. აბაი; 84. სტოა.

1.ცნობილი ფრანგი ოკეანოგრაფი
2.სამწლიანი ცხენების დოღი
3. სიმღერა რაინდულ სიყვარულზე
4. უფროსი მწყემსი
5.ნახევრად ძვირფასი ქვა
6. დროის ათდღიანი მონაკვეთი
7. მოღალატე, გამცემი
8.ორგან. ავად. მგრძნობელობა გარკვეულ ნივთიერებაზე
9. ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი
10. წმინდა ნინოს სამშობლო
11. კაუჩუკის მისაღები ნედლეული
12. პატარა მტაცებელი ცხოველი
13.საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
14. გრაფი „დათა თუთაშხიაში“
15. ფეხიანი ჭიქა
16. ფეხბურთელი ... შირერი
17.გასეირნება ბავშვის ენაზე
18.საფქვილე ყუთი წისქვილში
19. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო
20. გერმანიის იმპერია
21.მოძრავი ცირკის კარავი
22. ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი
23. მუხის ნაყოფი
24.ქართული კინოაკადემიის პრიზი
25. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი
26. ფრანგული ავტომარკა
27.სომხური წარმოშობის ფრანგი შანსონიე
28. თმის მცენარეული საღებავი
29.ძველოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
30. რახმანინოვის ოპერა
31. სპარსი და ტაჯიკელი პოეტი
32.კაპიტან ბლადის ლიტერატურული „მამა“
33. პოეტ ახმატოვას სახელი
34. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
35. გერმანელი ფიზიკოსი
36.ლოცვის წიგნების დასადები მაგიდა ეკლესიაში
37. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
38. ზრდლობიანი დასტურის გამოსახატველი სიტყვა
39. გეიშას მოწაფე
40. მძინარე მზეთუნახავის სახელი
41. წესიერი ოცწახნაგა სხეული
42.ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში
43. მსოფლიოს V ჩემპიონი ჭადრაკში
44. ბრმადმორწმუნე
45. ფლორენციის ერთ-ერთი უძველესი სასახლე
46. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
47. მუსიკალური გამის IV ნოტი
48. კრემიანი ნამცხვარი
49. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
50. ისტორიული ძეგლი ტაოში
51. ინგლისელი ფილოსოფოსი
52. მიმართვა მეფისადმი
53. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
54. მდინარე გერმანიის დედაქალაქში
55. გვერდზე ცურვის ხერხი
56. კილიანი ხორბალი
57.გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
58. სომხეთის დედაქალაქი
59. საკურორტო სოფელი აფხაზეთში
60. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი
61. მტაცებელი თევზი
62. თმაგაცვენილი ადამიანი
63. ერთგვარი თამაში რგოლებით
64. პრივილეგირებული ფეოდალურ იაპონიაში
65. ქალაქი საბერძნეთში
66. მფრთხალი, შეუჭეველი ფრინველი
67. სამოას დედაქალაქი
68. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი
69. ხანჯლის ტიპის ცივი იარაღი
70. ოპერა „ქეთო და კოტე“ კომპოზიტორი
71. მეფე არტურის სასახლე
72. ბიბლიური აბრაამის ცოლი
73.ნოდარ დუმბაძის „... გემინია, დედა!“
74. დონ კიხოტის მსახური სანჩო ...
75. ლეგენდარული ნორვეგიული საექსპედიციო ხომალდი
76. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
77. მცირე განსხვავება რამეში
78. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
79.ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
80. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
81.თავისუფალი ფორმის ნარკვევი
82.კათოლიკური ჰიმნი „... მარია!“
83.საბეჭდი თაბახის ნახევრის ტოლი ფორმატი
84. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
85.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა

ღორს „ტალახის ფობია“ სჭირს

ადამიანები შევეჩვიეთ, რომ ღორი ბინძური ცხოველია და რაც უნდა სისუფთავეში ამყოფო, ტალახს მაინც მოძებნის, თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისებიც არსებობენ. ბრიტანეთში ცხოვრობს გოჭი, რომელსაც ძალიან ეშინია, ფეხებს ტალახით რომ დაისვრის და ამიტომ გონებაგამჭრიახმა პატრონებმა რეზინის ბოტები ჩააცვეს. მანამდე კი, როცა სინდერსის (ასე ჰქვია გოჭს) თანამოძმეები სიამოვნებით წვებოდნენ ტალახში, გოჭი განაპირას იდგა და შიშისგან კანკალებდა. ჩანს, მას იშვიათი დაავადება — მისოფობია, ანუ ტალახის შიში შეეყარა, — ამბობენ ღორის პატრონები, დები და ენდრიუ კიბლები. სისუფთავის მოყვარულმა სინდერსმა ისინი თავიდან დააბნია, მაგრამ მერე მოიფიქრეს და ნაცნობ დიზაინერს მისთვის ბოტების შეკერვა სთხოვეს. არ ვიცით, რა იქნება, როცა სინდერსი გაიზრდება, მაგრამ ვიმედოვნებთ, ამ ფობიას მანამდე დააღწევს თავს, ვიდრე ახალი ბოტები დასჭირდებაო, — აცხადებენ კიბლები.

სუდოკუ

ადვილი

2	5				1	4		
	4	8		9			5	
				4	3			
				3			1	7
4								9
8	2			5				
			3	8				
	9			2		1	6	
		2	9				7	5

სტანდარტი

				9			2	
	9							4
6		4			8			
5				8	3		1	9
		7	1		5	8		
1	8		9	7				6
			6			1		8
3							7	
	5			1				

რთული

	4	3					1	7
		5	3		1	8		
		6		5				2
	8		2					
			7		4			
					9		3	
9				6		1		
		4	1		3	9		
5	3					6	7	

ექსპერტი

				1	8			6
2			6			9		
	6	5			3			
1						6	5	
			5	4	2			
	3	4						7
			9			7	8	
		1			6			9
3			8	2				

ნაყინი სტრესის წინააღმდეგ



მეცნიერებმა გაარკვიეს, ასე ძალიან რატომ უყვართ ნაყინი როგორც პატარებს, ასევე დიდებსაც. აღმოჩნდა, რომ ის სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა. რძე და ნაღები შეიცავს ტრიპტოფანს — ეფექტურ ბუნებრივ ტრანკვილიზატორს, რომელიც ამშვიდებს ნერვულ სისტემას და განწყობას ამაღლებს. რაც შეეხება შოკოლადს, რომელიც ხშირად ალამაზებს ხოლმე ამ დესერტს, დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ის თავის ტვინზე ნარკოტიკის მსგავსად მოქმედებდა, თუმცა, ცოტა ხნის წინ ამერიკელ სწავლულთა ჯგუფმა მოახერხა მისი და კაკაოს „რეაბილიტირება“: აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მსგავსი ნაერთების კონცენტრაცია შოკოლადში ძალიან დაბალია.

ამერიკელებმა ანტიბაქტერიული საპონი აკრძალეს

მინესოტა პირველი შტატია ამერიკაში, სადაც აიკრძალა ისეთი სამომხმარებლო პროდუქტის წარმოება და გაყიდვა, რომელიც ფართო მოქმედების სპექტრის ანტიბაქტერიულ აგენტს — ტრიკლოზანს შეიცავს, თუმცა ეს აკრძალვა მხოლოდ 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. ტრიკლოზანი აშშ-ში ფართოდაა გავრცელებული და ჰიგიენური საშუალებების თითქმის 75%-ში შედის — მას იყენებენ კბილის პასტის, სველი ქაღალდისა და საპნის დამზადებისას. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტრიკლოზანი ნეგატიურად მოქმედებს კუნთების კუმშვით და ორგანიზმის რეპროდუქციულ ფუნქციაზე. გარდა ამისა, ტრიკლოზანის შემცველი სარეცხი საშუალებების გამოყენებისას წარმოიქმნება ახალი მიკროორგანიზმები, რომლებიც ძალიან მდგრადია ანტიბიოტიკების მიმართ.

დიდხანს ძუძუთი კვება ჯანმრთელობას ვნებს

ორ წლამდე ასაკის ბავშვების ძუძუთი კვება პედიატრების მიერ რეკომენდებულია და სასურველიც არის, თუმცა ამ დროის გადამეტება სულაც არ ყოფილა სასარგებლო, პირიქით, ბევრ უარყოფით შედეგს იწვევს, მაგალითად, ნაადრევ კარიესს პატარებში. იგივე შედეგი გვხვდება იმ ბავშვებში, რომლებიც ორ წლამდე მხოლოდ დედის რძით იკვებებიან და სხვა საკვებს ნაკლებად იღებენ. ძუძუთი კვების საყოველთაო პროპაგანდის ფონზე, ბევრ დედას მცდარად მიაჩნია, რომ რაც შეიძლება დიდხანს და „სრულფასოვნად“ უნდა კვებოს ბავშვი ბუნებრივად. კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულებმა კი დაადგინეს, რომ ორი წლის შემდეგ ძუძუთი კვება ნაადრევ კარიესს იწვევს. მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში, რომელიც ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა, 456 პატარა მონაწილეობდა. ბავშვების ერთი ჯგუფი ექვს თვემდე იყო ძუძუთი კვებაზე, რის შემდეგაც მათ რაციონს ბოსტნეული, ხილი, ფაფეული, წვნიანები, წვენები დაუმატეს; მეორე ჯგუფი კი ორი წელი მხოლოდ დედის რძეს მიირთმევდა. ამ ჯგუფის ბავშვების თითქმის ნახევარს ნაადრევი კარიესი განუვითარდა, თუმცა მეცნიერები კვლევის შედეგებს თვით კვებას კი არა, კვების მეთოდს უკავშირებენ. როცა პატარა გამუდმებით ძუძუს ან საწოვარას წოვს, მისი ნერწყვი აღარ ხვდება კბილებზე. ნერწყვი კი მავნე ბაქტერიებისგან დამცავი ბარიერია, ამიტომაც პატარებს, რომლებიც ძალიან გვიან გადადიან „მოზრდილთა“ საკვებზე, როგორც წესი, უფრო ხშირად უჩნდებათ სარძევე კბილების კარიესი.

ალცჰეიმერის საწინააღმდეგო წამალი შექმნეს

შვედეთში ახალი პრეპარატი შექმნეს ალცჰეიმერის დაავადების საწინააღმდეგოდ. უპსალას უნივერსიტეტის სწავლულების აღმოჩენა პრინციპულად განსხვავდება უკვე არსებული პრეპარატებისგან. სიახლის ავტორები ვარაუდობენ, რომ მოახერხეს მსოფლიოში პირველი პრეპარატის შექმნა, რომელიც თავად დაავადების განვითარებას აჩერებს და არ ამსუბუქებს მის სიმპტომატიკას. წამალს 800 პაციენტზე გამოცდიან, რომელთაც ევროპიდან და აშშ-დან შეარჩევენ. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ორი-სამი წლის შემდეგ უკვე ექნებათ პასუხი კითხვაზე, ნამდვილად შეუძლია თუ არა მათ პრეპარატს ალცჰეიმერის შეჩერება. თუ შედეგები დადებითი აღმოჩნდება, წამალი ბაზარზე 5-6 წელიწადში გამოჩნდება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ჩვენ ვითვლით ადამიანების ნებას

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

www.cesko.ge